



გეორგიული ლიტერატურის

2633
1954

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

„LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16^e). Tél.: Passy 75-35.

Djobadze's

№ 17

შ ა ნ ი ს ი — 1954 — M A I

Library № 17

შ ი ნ ა ა რ ა ნ ი :

M. Kvitashvili — May 26 — Georgian Independence Day

პროფ. მ. წერეთელი — ერ.-დემ. პარტიას, ალ. ასათიანის გარდაცვალების გამო

შ. ვარდიელი — ალ. ასათიანის ხსოვნას †

კ. სალია — ერეკლე ორბელიანის †

გრიგოლ რობაქიძე — „ლამაზა“ (მოკლე ბიოგრაფია)

პროფ. მ. წერეთელი — „ნიმცემი და მიმღები“ (ისტ. ნარკვევი). შენიშვნები „ვ. ტ.“-ის ტექსტისათვის

გ. გამყრელიძე — დალი და დიანა. ზოგი რამ ცხოველებზე

გ. ყიფიანი — ქუთაისი

~~მ. მ. თარხნიშვილი — ვინ არის მართალი? (ისტ. ნარკვევი)~~

~~მ. შ. ვარდიძე — ლიბანში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის შესახებ~~

ირ. ოთხმეზური — ივერა ფალავა

პასუხი გაზეთ „საქართველოს დამოუკიდებლობას“

პროფ. მიხეილ მუსხელიშვილის მოხსენებები შეერთებულ შტატებში და სკანდინავიაში

დრ. დავით ლანგის შრომები საქართველოს შესახებ

კულტურული მუშაობა

ნინო სალია — „ბედი ქართლისა“ — ს ექვსი წლის თავზე

ბიბლიოგრაფია. ქრწნიკა

MAY 26 — GEORGIAN INDEPENDENCE DAY

36 years ago, on May 26, 1918, the Independence of Georgia was restored. After a century of foreign, Russian, domination, Georgia once again took her rightful place among the free nations of the world. The place which belonged to her for over 2000 years—from the IV-th century B. C. until 1801, the year in which Georgia was incorporated into the Russian Empire.

From the very early days of her history Georgia came under the influence of the Graeco-Roman culture; she became Christian in the first quarter of the IV-th century and ever since then has been an outpost of Christianity and Western culture in the East. For centuries, almost uninterruptedly, she waged a battle for her independence and liberty, for her faith and culture. Romans, Byzantians, Persians, Arabs, Mongols, Turks, all tried to crush her. She was many times defeated, but she was never subdued. Throughout history Georgia has preserved her identity, her race, language and proud traditions. Incessantly fighting, gradually losing power, Georgia reached the modern age. She was not by then the great power she was in the XI, XII, XIII-th centuries, but she was still independent and it was as a sovereign monarch, that on July 24, 1783, King Heraclius II signed a treaty of friendship with the Empire of the Tzars. But a few years later, in 1801, the treaty was treacherously and brutally violated by Russia and Georgia was incorporated into the Russian Empire by force of arms. Although tired and powerless after centuries of efforts, Georgia did not submit and rebellions and uprisings became a pattern of life there. In spite of oppression, in spite of intense efforts of Russification, the Empire of the Tzars did not succeed in its aims and Georgians still remained Georgians, never for a moment forgetting their proud heritage and only waiting for an opportune moment. This moment came with the defeat of Russia in the first World War, the Russian Revolution and the break up of the Russian Empire.

On May 26, 1918, the Independence of Georgia was proclaimed by the Georgian National Council consisting of representatives of all the Georgian political parties and organisations, and once again Georgians could enjoy all those rights which are the unalienable rights of men—the right to be governed by those of their own choosing, the right to speak their own language, to worship as they chose, to say and write freely whatever they wish.

During the next three years Georgia proved to the world that she was ready and able to manage her own affairs. Universal, free, truly democratic elections were held and a Parliament elected. This Parliament passed a written constitution, proclaimed an absolute equality of race and sex, freedom of speech and religion; gave land to those who toiled it and passed many other laws and reforms, which proved the political maturity of the Georgian nation and of her leaders. The world recognised this fact. 27 nations, including the Supreme Allied Council consisting of Great Britain, France, Italy, Belgium and Japan extended their de Jure recognition to the young Republic.

And so did Soviet Russia. A treaty between Georgia and Russia was signed in Moscow on May 7, 1920. The Soviets recognised unconditionally the full and absolute sovereignty of Georgia and promised to have friendly, neighbourly relations with her. However, only 8 months later, in February 1921, without any provocation, without even a declaration of war, the Russian Army began an attack on Georgia and after 6 weeks of bitter, unequal fighting occupied the country. Occupied, but did not subdue. The Georgian people have never submitted to the Soviet communism and the fight begun on February 11, 1921, continued and has not ended yet. A nationwide, general insurrection, which broke out in August 1924 and was drowned in blood by communists, was only one of many. Tens of thousands of Georgians were execu-



ted in the years between 1921 and 1941; hundreds of thousands deported, most of them never to return. It is difficult to estimate how many more did this country of less than 4 million inhabitants lose since 1941.

With the death of Stalin and the fall of Beria a new wave of terror has descended upon Georgia. And this time it is more clear than ever that it is not only against communism that the Georgians are fighting, but against foreign occupiers — Russians. Russification, that weapon of Russian imperialism, which both the Tzarist and the Soviet Russia have used against the conquered by them nations, is in full swing again. But the opposition to this Russification is stronger than ever. Georgians refuse to become Russians. Soviet Russia has not been able to crush the spirit of the Georgian nation and never will be able to. To day, as always, Georgia remains the weakest link in the Soviet chain of subject states.

The voice of the Georgian nation can not be heard by the Free World to day. But every Georgian in exile knows that it is his sacred duty to see that this voice is not stilled for ever. He also knows that it is his duty to do all he can and to aid by all means at his disposal those who strive to bring to an end the regime which has brought so much suffering to millions of human beings. But it is his duty also not to forget the rights and the wishes of his nation. And this duty compels him to say, that in the question of the independence of Georgia, there can be no compromise. For the past 33 years, ever since the Red Army started its invasion of Georgia, the Georgian people have been fighting not only against the communist regime, but against the foreign, Russian occupiers. They have been and still are fighting for the restoration of their national independence and no Georgian in exile can, or indeed has any right to disregard this fact.

During the last few years great efforts have been made to coordinate the work of all the anti-Soviet organisations of the va-

rious peoples inhabiting the Soviet Union. The idea was to create one strong and effective organisation which would direct the work of all the political exiles from all the countries enslaved by the Soviets, including, of course, Russia itself. It was and is clear to all Georgians that only by a common and intense effort can an end be brought to the evil tyranny which has been plaguing the world for over three decades. But in order to make this common effort effective, it is quite indispensable that everyone taking a part in it should understand and recognise the position, the wishes and above all, the rights of the others. Bitter experience has taught Georgians and other non-Russians, that the Russians are not prepared to collaborate on equal terms. They are not prepared to recognise, that other nations have the same right to an independent existence, as they have themselves. It is unfortunate, but a fact all the same, that Russian Imperialism is the same, whether it is Tzarist, Soviet or any other. The majority of Russian political organisations in emigration, while professing to be democratic and liberal, deny to other peoples the most elementary right — the right to be independent, if they so wish. While opposing and fighting against the communist regime, they insist that after its overthrow, the Empire created by the Tzars by brute force and enlarged by the Soviets, by even more brute and ruthless force, should remain.

In view of this Russian position how can the Georgians or any other non-Russians be expected to work together with them? How can there be any talk about referendums, plebiscites, «non pre-determination»? The Georgian nation has determined centuries ago to be free and independent and countless millions of Georgians gave their lives in order to keep their country free. And no Georgian is prepared to compromise on this question to day. Georgia has every legal and moral right to be independent and no Georgian can forget or ignore this fact.



As we said before, all the Georgians who are in exile to day are eager and anxious to collaborate with those who oppose and fight communism. But they consider it a treason to their people to collaborate with anyone who does not recognise Georgia's right to an independent existence. And no effective collaboration will be possible and no serious anti-communist effort made until the Russians come to understand that the times have changed and until they give

up their idle dreams of Russian Imperialism and of Russian domination over other nations.

The struggle of Georgia continues and will continue until the Georgian people regain their independence and freedom. A fighting people with the proud traditions of Georgians will never accept as final the loss of their national and political freedom. For Georgians there can be no compromise.

Merab Kvitashvili

საქ. მრ.- დემ. პარტიას, ალექსანდრე ასათიანის გაგონების გამო

უღრმესად იგიველვე ალექსანდრე ასათიანის დაკარგვას, — დიად უღროთად დაკარგვას დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა, მებრძოლისა და მოაზრისა, რომელიც საქმით, კალმით და სიტყვით თავ-განწირულად ემსახურა ქართველ ერს თავის ახალგაზრდობითგან უკანასკნელ დღემდე მისი ცხოვრებისა.

მოვასხენებ სამძიმარს საქართველოს ერ.-დემ. პარტიას მისი ერთი უდიდესი ხელ-მძღვანელთაგანის, ორგანიზატორის, მოქმედის და პუბლიცისტის მისგან განშორების გამო.

და ამავე გულწრფელ სამძიმარს ვუთვლი ჩვენ ტანჯულ, უბედურ ქვეყანას, რომელიც მის აწ განსვენებულ ღირსეულ ძეს ისე უყვარდა და რომლის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში მან იჯნული მთელი მისი ცხოვრება, ხოლო რომლის ხანმოკლე ბედნიერებისა დროს იგი იღვწოდა მისი მკვიდრ საფუძველზედ ამენებისათვის.

საქართველოსათვის დეაწლი იყო ალექსანდრეს ცხოვრების დანიშნულება და აზრი, მისი

უდიდესი ვალი ამ ქვეყანაზედ, და ეს ვალი მან ბრწყინვალედ მოიხადა როგორც იქ, დაცემული სამშობლოს აღდგენისათვის და მისი თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლით, ისე აქ, უცხოეთში, ამ ბრძოლის განგრძობით.

ალექსანდრე იყო იმ ქართველთა გვარისა, რომელთაც მათი მხნე-კაცობით, ჭკუით და გულით შესაძლებელ-ჰყვეს არსებობა და წარმატება ქართველი ერისა. ამიტომ ქედ-დადრეკილი პატივ-ცემით მათ ძველთა ხსოვნას და მათ საფლავთ, — სადაც კი იგინი დაშთენილან და ნეც აქ, უცხოეთში, მიუნხენის „ტყის სასაფლაოზედ“ ახლად გათხრილი საფლავის წინაშე დიდი ქართველი მამულის-შვილისა ქედს ვიხრი და ვამბობ: გიყვარდა საქართველო, ძვირფასო ალექსანდრე, და მისთვის თავდადებული რაინდი იყავ მხოლოდ და მხოლოდ, და დიად ღირსი ხარ, რომ ხსენება შენო საუკუნოდ იყოს ქართველთა შორის!

მიხეილ წერეთელი

მიუნხენი.

ალექსანდრე ასათიანის ხსოვნას

ღამეა, ბნელი და ცივი. კუბრივით შავი ღრუბლები, სამყაროზედ გაკრულნი, იცრემლებიან. იდაყ დაყრდნობილი მათ გავსცქერი და შორს, შორს მათ შორის, სადღაც აღმოსავლეთში, რაღაც ამაყ ბუმბერაზად აღმართულსა ვამჩნევ... მეცნობა ამაყი და უღრევი იალბუზი. ირგვლივ სამარებრივ დუმილში ყველა მიძინებულია. არსაიდან არა რა ისმის. მთლად უდაბნოდ ქვეულში დამშორდა ძილი და მოსვენება.

მაღლა წყვდიად და მიუწლომელო მიდამოებში დავეძებ და ვერსად ვხედავ განთიადის ნაზ კარსკვლავის მოციმცინე სხივებსა, წინამორბედებს შუის სინათლისა და სითბოსი. ვფიქრობ და ვწმუნდები: ზენის საიდუმლო განგებით, მზე, კიდევ სადღაც მიძინებული, არ აღმოაჩნდება სამყაროზედ, რომ დასთურგნოს ბოროტი ღრუბლები, რადგან უკუნსურს, დამნაშავეს, თუმცა დატანჯულსა მსოფლიოს არ სურს

მისი სინათლე - სითბო სამართლიანობის, მშვიდობიანობის, თანასწორობის და თავისუფლებისა.

ლამე ბნელი და ცივი არ სრულდება. ჩვეულებრივ განმისხლდა, გამიღვივდა გონების აღმაშფოთებელი და გულის დამლაგებელი მწარე და იღუმელი გოდების ბანი, რომელიც ცამეტი წლის ჭაბუკს პირველად შემომცნა, 1896 წ., როინისა, მტკვარისა, ალაზნისა და სხვა მდინარეთა ზვირთებიდან. რა დავრწმუნდი, რომ „**ბედი ქართლისა, ბედი ქართველ მამულიშვილებისა**“ ბოროტი სულის, ჯოჯოხეთის გზირის ხელში იყო, ავლელი და გავსახე ჩემს რაშსა: „მერანო, გასწი, გაფრინდი, გადამტარე ჯოჯოხეთის სამეფოს, — რუსეთის —, სახლგურებსა! მტარვალს და უგლისს არ იემონები, არცა არას დროს დაემონო, თუნდაც რომ სიკვდილამდე მარად უთვისტომოდ და განწირულად დაეჩრე ყოველგან!“... ახლაც, ორმოცდა თვრამეტის წლის შემდეგ, ისევ გამწარებულ - გამზაგებულმა გავსახე მიდამოებს, როდესაც ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალება გავიგე:

„ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ხნე გქირსა?!“
„სად წაიყვან სადაურსა, სად აუფხვრი სადით ძირსა!“...

და გავეშურე დამწუხრებელი. ნაღე, მარცხნივ დამხვდა დიდებულად აღმართული მღუმარე პანთონი. გადავხედე: არც ქართული იყო და არც ქართველთათვის. ივერდით აუქციე და მიველი გახელბული მიღინარის ნაპირსა. მოვიინდომე 1801 წლითგან 1918 წლამდე და განსაკუთრებით 1921-თგან დღემდის, ჯოჯოხეთის იგავე გზირის-მიერ ჩვენი სამშობლოს: და მისი შვილების წამებით ივლწი მძაფრად აღელვებული და მტანჯველი ზვირთები მის წყნარ შრიალ-ბიბინა შემეერთებინა, და ოდნავ მომესვენა: მარამ, მას არა ჰქონდა არც შეგება და არც გრძობა ჩვენი ქვეყნის რომელიმე მღინარისა. ან არ სურდა გავეო, ან არ ესმოდა მწარე ბედი ქართლისა!..

კიდევ ერთი მამულიშვილი, სადღაც ცივს და უცხო სამარეში ჩავსენა.

ალექსანდრე ასათიანმა მიიძინა და სამუდამოდ დაგვშორდა. ეფექტობ: არა მართო ბედი ქართლისას სიმწარემ, არამედ ქართველ ლტოლვილთა უთანხმოებამ და ნამდვილი ეროვნული მოვლიერების დავიწყებამ დაუწყებტეს მას მწარე

ცხოვრების ძაფები და წარვიდა სამუდამოდ განსასვენებლად.

სხვა მრავალ ქართველ ლტოლვილთა შორის, ალ. ასათიანს პირველად შეგვდი ბოზფორის ნაპირებზედ, ოდეს თავი დააწვია ველური და ჯალათ რუს ბრბოებსა. მტკიცე ნაბიჯით მოსიარულის და ჩაფიქრებულის ოდნავ მომღიმარე სახეზედ იღუმელი სევედა ჩაბეჭდილი ჰქონდა. მალე დავრწმუნდი, რომ იგი იმ ნამდვილ ქართველთაგანი იყო, რომელთაც პიროვნულ თუ ეროვნულ ტანჯვა - წამების დროს არ იციან დრტინვა - ოხვრა და ქედის მოხრა. არცინ მიამბო მისი ეროვნული მოღვაწეობა საქართველოში 1921 წლამდე; სანდო მეგობრებმა კი დამარწმუნეს, რომ ალ. ასათიანს სამშობლოს ბედი მწარედი სტანჯავდა და ეროვნული დიდი შეგნებით და სიყვარულით აღჭურვილი, მხოლოდ ქართველი ქრის თავისუფლების აღდგენასა დაეძებდა

რვა წლის შემდეგ, 1930 წელს, შემთხვევით შევესწარი პარიზში ერთ მის მოხსენებას. დარბაზის შესავალშივე შეეჩრდი და გადავხდე ასიოდე უცნობი და ნაცნობ ქართველ ლტოლვილთა კრებულსა. ასათიანი წყნარად, მტკიცედ, რაღაც საიდუმლო გრძობით საუბრობდა და მუნ სხვა და სხვა ჯგუფებს მარტივად აუწყებდა, რომ განსაკუთრებით დღევანდელ დროს, მტარვალ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, ქართველ ლტოლვილთა არა პარტიული, არამედ გაერთიანებული მოღვაწეობა საზღვარგარეთ გარდაუვალი იყო საქართველოს თავისუფლების აღსადგენად. კრებულს გადმოხედა და წყნარად წაუმატა: „... ინტერნაციონალიზმით მსოფლიო ვერ იხილავს ვერას დროს ევრც მშვიდობას, ევრც სამართალს, ევრც თანასწორობას და თავისუფლებას... საკმარისია გავითვალისწინოთ კერენსკის და მის ბრბოთა რუსული ინტერნაციონალიზმი და მისი ტყუბის, ბუნებრივი მოწყობის, ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმი“. წუთსავე რაღაც ჩურჩული გაისმა აქაიქ, კრებულში. გავოცდი ზოგიერთის ჟემაყოფილებაზედ, თუცა ა. ასათიანმა არა რა სთქვა, რაც მიუღებელი იყო ქართველისათვის. ოდნავ აღლვებული გიორგი მაჩაბელი ფეხზედ წამოდგა, შემნიშნა, მომიახლოვდა და მითხრა: „გული მისკდება, რომ ვხედავ, ჩვენი ქრის დღევანდელი წამების დროსაც, თვით საზღვარგარეთ, გონს არ მოდიან ზოგიერთნი, დროა, ყველამ



ნოე ჟორდანიას ძეგლისათვის

ვიწამოთ ეროვნული სახარება, სადაც ნათლად აღსახულია, თუ თვითეულმა ქართველმა როგორ უნდა აღასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოსადმი“.

ალექსანდრე ასათიანი დიდად შეგნებულ მამულიწმიდო იყო და დიდი მოსიყვარულე ჩვენო ქრისა. ეს უნდა ღირსეულად შეეფასათ და საქვეყნოთ აღვიაროთ. იმედი გვაქვს მისი ახლობლები ფართოდ გავაცნობენ განსვენებულის ეროვნულ მოღვაწეობას და მოქმედებას არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ, და მას იგივე ბედი დაეწიება არა ეწვევა, როგორც, სხვათა შორის პეტრე სურგულაძეს, გიორგი მაჩაბელს, სპირიდონ კედიას, ლეო კერესელიძეს, მელიტონ ქარცივაძეს... და სხვათა მრავალთა.

„გასრულდა მათი ამბავი,
გარდახდეს, გავლეს სოფელი,
მაგრამ უკუნით დასრება
მათი ღვაწლი და სახელი!“.

შ. ვარძიელი

ამა წლის 17 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად პარიზში გამართულ საზოგადო კრებაზე, არჩეულ იქმნა კომისია ემიგრაციაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან, განსვენებულის ძეგლის ასაგებად.

კომისია, რომლის საპატიო თავმჯდომარეა ბ. ვვგ. გეგეჭკორი, აწყობს საერთო ხელის მოწერას საქირო ფონდის შესაგროვებლად და მოუწოდებს მთელ ქართველობას მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

კომისიაში შედიან: ბ.ბ. თ. ანთაძე — სოც.-დემ. პარტიისაგან; შ. კალანდაძე — ეროვნ.-დემ. პარტიისაგან; კ. სალია — თეთრი გიორგისაგან; დ. ხელაძე და ვ. ჩუბინიძე — სოც.-დემ. პარტიისაგან და ვ. წულაძე — გაერო. სოც.დემ. პარტიისაგან.

იაკობე ორბელიანი †

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებს კიდევ ერთი მამულიწმიდი შთაკლდა. ნიუ-იორკში გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ერეკლე მამუკას-ძე ორბელიანი.

განსვენებული დაიბადა ტფილისში, 1901 წ. დედა მისი ელისაბედ ბაგრატიონი იყო, პირდაპირი შთამომავალი ალექსანდრე ბატონიშვილისა, რომლის შვილსაც ერეკლე ერქვა. ელისაბედ ორბელიანი ცნობილია ჩვენში თავისი იშვიათი პატრიოტიზმით. მისი სახელოვანი პაპის მიერ ვადმოცემულ ანდერძს საქართველოსათვის ბრძოლისა თვით უძნელეს პირობებშიც იგი მტკიცედ და გაბედულად ასრულებდა. უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, შეადგენდა შინაარსს მისი ცხოვრებისა.

ელისაბედ ორბელიანი აგრეთვე უაღრესად განათლებული პიროვნება იყო. მოღვაწეობდა ფრანგული ენის პროფესორად ტფილისის უნივერსიტეტში. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი თარგმანი „გეფხის ტყაოსნისა“ ფრანგულ ენაზედ. ასეთი დედის მიერ აღზრდილი ერეკლე, ბუნებრივად, უნდა ყოფილიყო მის დიდ წი-

ნაპართა ტრადიციის გამგრძელებელი. და მან, მართლაც მის დიდებულ დედას იმედები არ გაუცრუა.

ერეკლე სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში და ტფილისის კონსერვატორიაში, რომლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, განაგრძო მუსიკის სწავლა ბერლინში, სახელოვანთქმულ მაიერმაჰრის ხელმძღვანელობის ქვეშ. კონცერტებით გამოდიოდა ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში — ყველგან დიდი მოწონება ჰქონდა. სამწუხაროდ, მუსიკალურ კარიერას თავი დაანება სუსტი ჯანმრთელობის გამო.

ევროპაში ყოფნის დროს, იგი ახლო იდგა ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციებთან და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართულ საქმიანობაში. არც ამერიკაში გადასახლების შემდეგ მიუტოვებია მას საქართველოსათვის მუშაობა, და როგორც კი სათანადო პირობები დადგა, მაშინათვე აქტიურად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზედ. როგორც ვიცით, მას დიდი მონაწილეობა მიუძღვის „ამერიკის ზმასთან“ ქართული განყოფილების გახსნაში. მისი სურ-

„ლ ა მ ა რ ა“

(მოკლე ბიოგრაფია)

ზაფხული 1924 წელს მანგლისში გაატარა. იქვე ისვენებდა დასო ქართული თეატრისა: ისვენებდა და თანაც მომავალი სეზონისათვის ემზადებოდა. თითქმის დღე-ყოველ ვხვდებოდი მთავარ რეჟისორს: კოტე მარჯანიშვილს. (მანგლისის იღუმენალი „გენიუს ლოცი“ — ქართული შეცნევით: „ადგილის დედა“ — მოსახულის ჩემს გერმანულ რომანში „მცველნი ვრსლისა“. მარჯანიშვილიც იქვეა გამოყვანილი, გვარის შეცვლით: „მარჯანი“.)

მარჯანიშვილის ელემენტი იყო: ცეცხლი. უნარი კი ცეცხლის „მოვლისა“ არა ჰქონდა: ჩქარა იწვოდა, მალე იფერფლებოდა. წვა იძლეოდა გასათვარ „ელვისას“. ოღონდ ელვისა ძვირად თუ იღებდა პლასტიურ „სხეს“. როგორც ყოველი ხელოვანი, იგი უნიანი იყო. ხოლო უნი მისა ნარი ახლდა თან: კაპრიზი. და უნიანი შიგა-და-შიგ ჯიუტად ხდებოდა: ერთხელ აღებულ გეხს არ იცვლიდა არაგზით. საკვირველი არაა, თუ მის ნაქში ხშირად „ლაპსუსს“ ჰქონდა ადგილი.

შეხვედრა მასთან გახარება იყო: ახლისება სიცოცხლისა. შეხედებოდი, მთელი არსით გადაგვხსნებოდა ვითარ ხალისი წყაროსთვალის. ამ მხრით მას პაოლი ისმეილი თუ გაეტოლენ

ბოდა. ჰხარობდი მასთან ერთად და იზრდებოდი შინაგან. როგორც მზისმეილი ნამდვილი, იგი გენიალური ამართლებდა გენიალურ განკერტას ქართველთა: ვიტყვით ხომ ხშირად „მცენარე ჰხარობს“ და ვგულისხმობთ: „მცენარე იზრდება“. მხოლოდ: თუ წყენას მიაყენებდი, სამდამოდ გაგემტუნებოდა. ამავც დროს მხემ მისმა დაბნელება არ იყოდა, მინდა ვთქვა: შურისგებით არ ყოფილა აყვანილი არაოდეს.

უნდებოდი მას თითქმის ყოველდღე. მიღებულნი ჭილოფები მოგენილი მოლზე ჩრდილში — ვნებივრობით და ესაუბრობდით. საუბარი მასთან ტკობა იყო გონის. ყოველ აზრს წამსავე ხდებოდა და მოაბრუნებდა მოულოდნელი ნაუხანსით. შეეძარდენური ციალი მისი თვალების ამ დროს აზრის აფოთლება იყო. რა არ იყო საგანი ჩვენი საუბარისა? მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, ლიტერატურა. შიგა-და-შიგ ლამაზ ქალთა „მონადირება“ ამოყოფთა ხოლმე თავს. ეს, ასე ვთქვათ, საუბრის ახლისებისათვის.

ერთს მწიფე ნაშუადღევს ვაჟზე ჩამოუფედ სიტყვა. ვამცნე, თუ რა დიდ მგოსნად მოჩვენებოდა იგი ილიას. ვუამბე აგრეთვე, თუ რო-

ვით ქართული გადაცემები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს დაიწყო. მისი დახმარებით მოეწყო აგრეთვე იმავე დღეს, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. დინ აჩესონის მიმართვა ქართველი ქრისაღში.

ქრეკლე ორბელიანი პირველად „ამერიკის ხმის“ მარტო ქართულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მალე მისმა ნიჭმა, განათლებამ, ევროპული ცნების, და აგრეთვე დედაენისა ცარულყოფით ცოდნამ ყურადღება მიიქცია ხელისუფლებისა და ერთი წლის შემდეგ, იგი გახდა იამბედ სომხური, აზერბეიჯანული, თათრული და თურქესტანული განყოფილებებისა. მალე მას უკრაინული სექციაც მიუმატეს და ბოლომდე მშენიანად ასრულებდა დაცისრებულ მოვალეობას. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა წრეებშიც მან დიდი პატივი და ნდობა დაიმსახურა.

რამდენი საარგებლობის მოტანა შეეძლო მას ქართული საქმისათვის თავისუფალ მსოფლიოს ცენტრში, უღმობელ სივდილს ასე ადრე მისთვის ბოლო რომ არ მოელო.

ამერიკაში მყოფ ჩვენ თანამემამულეებს უფოდა გაუძნელებათ მისი შეცვლა—მით უფრო, რომ მათ შორის თანხმობა არ სუფევს და მთლიანობა იქაც დაარღვეულია. განსვენებულს მეტად აწუხებდა ეს მდგომარეობა, მეტრძოლ ძალთა დაშლა - დანაწილება და მოითხოვდა საგარეო საქმისანობისათვის მაინც ერთი ფრონტის შექმნას, უცხოელების წინაშე ერთი პირით განოვლას. ვაგივთ, რომ ნიურ-იორკის ქართველებს დაუწყათ მისი სურვილის განხორციელება და მთლიანობის აღსადგენად მუშაობა. ვიმედოვნებთ, მათი ცდა გამარჯვებით დამთავრდება. ეს იქნება უდიდესი პატივისცემა ქრეკლე ორბელიანის ხსოვნისა



გორი გადმოვწალიყე მცე სიდიდე ვაჟასი. ვაინაზა გულხმიერეცხით. შემდგომ ჩავაწვეთე: რა იქნებოდა, ვაჟას პოემა „გველის-მჭამელი“ განსცენოტრდეს-მეთქი! (მკითხველისათვის. განსცენოტრდება აქ ამას გულისხმობდა: წარმოითქმოდა ამბავის მოყოლა, დიალოგებში კი მსახიობნი გამოვიდოდენ.) განაბული, ახლა აღვივდა. ორიოდე დღის შემდგომ წავუტყითე პოემა. ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. პაუზა. „იცი რა გი თხრობა?“ (დაახლოებულთან მიმართებაში ხანდახან „შენ“-ობაზე ვადადიოდა.) „ეს არ გამოვა! რა იქნება, შენ თვითონ ვამალო ეს მითიური ვადმოცემა დრამად, ჰა?!“ თქვა და მომავტრქვია ციალი თვალი. „ვენახოთ!“ მივუტე სპონტანურ, არ დაფიქრებით.

„ვენახოთ!“ იმპულსი კოტეს მიერ მოცემული, აინთო ჩემში. არ ვასულა სამი დღე — „ლამარა“ ეიხილე ქრთს უტყარ გავლევებაში მისი მთავარი მუხლებით. ასეთი ხილვის დრო „თვალლია სიზმარისა“ და არა საათის. ოდისსეოსის თავგადასავალი რომ მოგვეთ, სულ უკანასკნელი, ერთი დღე მოგვიჩვენა — სიზმარში იმავე თავგადასავალის თავაღვავლებიასათვის სულ ბევრი ათი წუთი თუ დაგვიჩვენა. „ლამარა“ შთამესახა. შემოქმედება ამგვარი შთასახვითაან (წყება. ხოლო არა კალმით. სურათი მთელისა აქ ლანდია მხოლოდ, რომელიც სპონტანურ უნდა განამდვილდეს საშოთავან ქვემეცნევისა. ფხიზელს გგონია, ხილული მიმქრალისა თითქო. ვაჩნა გგონია მხოლოდ: იგი თავისით ამოტივტივდება ხოლმე სიცხადეში, როგორც რომელიმე სახელი დავიწყებული ხსოვის იდუმალი აუზითაან. აქ ჰმართებს ხელოვანს მდაფრი წვართი. ნადირქული ნაბვით უნდა ელოდეს იგი ლანდის ამოტივტივებას, ოლონდ არ უნდა „დააფრთხოს“. ნელად, სათუთად უნდა მიუშვას მან მასთან „იმაგო“: წარმოსახვით ძალა, რათა მისცეს ამოტივტივებულის ჰაეროვან ხტილს პლასტიური სხეობა. ამ გზით იზრდება და მწიფდება ხილული ქვეგენებში შეცნევისა. გულისყური ხელოვანისა ახლა იქისკეა მიმართული: არ ვასუშვას წუთი შთანასახის მოწიფებისა. ხედავ, მწიფეა უკვე, მოწყვეტს მას: არც ადრე, არც გვიან. მოწყვეტს როგორც ხილს.

კალამს მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდებს ხელს ხელოვანი. ყოველ შემთხვევაში ჩემი გამოცდილება ესაა.

ეს პროცესი — კალამის ხელში აღება — დიდხანს ფრქველდება ჩემში, ხანდახან წლობით. „გველის პერანგი“, მაგალითად, მოამსახა ზაფხულში 1917 წელს ჰამადანში — დავწერე იგი 1925 წელს ბორჯომში შემოდგომის დამდეგს.

დავუბრუნდეთ „ლამარას“. თვენახევაჩიც არ ვასულა მისი შთასახვითაან — კალამს მოვიკიდე ხელი. მაშინაც მიკვირდა ეს სიმსლე და დღესაც მიკვირს. ამის მიზეზი შესაძლოა ჩემი მავინდელი სულიერი მდგომარეობა იყო. საქართველო ემზადებოდა ამბოხებისათვის. ეს ამბავი გავიგე: გამანდგეს. სასტიკად უარყოფდი ამ ნაბიჯს. (თუ რატომ, ეს მისხლობითა აწონილი ზემოხსენებულ რომანში.) მე ვინ რას დამიჯერებდა ამ საქმეში? საშინლად ვნერვიულობდი. ავიშალე, დავიშალე. მოხდა ამბოხება. ვათავდა მარცხით. ახლა კი შლეგად ვიქცე: კაცს აღარ ვვავდი. მთელი არსი ჩემი ანთებით იყო აყვანილი. ასეთა ყოფაში დღე კვირეა და კვირე თვე და თვე წელი. ვფიქრობ: სიმსლე იგი მხოლოდ „კალენდარული“ უნდა ყოფილიყო.

ამას ერთი-რამ უნდა დავუმატო კიდევ. შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ისეთი სიმბაფრით გაიდგა ჩემში, რომ ქვემეცნეული მოვინდომე: „ლამარა“ უმალვე მიმეხალა მტარვალთა მიმართ ეითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულისა. „შესაძლოა“.

ორი კვირე მოგუნდი „ლამარას“ სიტყვიერ ვაშლას. რა ვამოვიდა? ვავხსენოთ ჯერ შინაარსი „გველისმჭამელისა“.

ხეცსური მინდია ვაიტაცეს დევებმა. დატყვევებული თვალს მოჰკრავს ართხელ: დევები გველს სჭამენ. რა იქნება, რომ მანაც იგემოს იგი? უელვებს აზრად. იგემებს და: მყისვე მისნად იქცევა. მისანი აგნება, რა გზით გვანთავისუფლდეს. თავისუფლდება. თავისუფალი ამჩნევს გაცებით: შეცვლილა სამყარო, შეცვლილა თვითონაც. ესმის საიდუმლო ენა: ქვის, მცენარის, ნადირის, ვარსკვლავის. ამათაც ესმით მინდიას სიტყვა. მყარდება სიყვარული. მისანი მკურნალად ხდება: მცენარენი მას მკურნებ ელემენტებს აძლევს. მინდია დაცოლმწილდება, კვიძობის რკალში მოექცევა. კერას უნ-

და — მან ჭადარი უნდა მოსტრას. ოჯახს კვება უნდა — მან ჯიხვი უნდა მოკლას. იგიც სჭირს და კლავს. ხედავს თანვე ჭადარის ცრემლებს, ესმის თანვე ტირილი ჯიხვისა. დღითი-დღე იტანჯება. ბოლოს, უგრძობი ჩრომ გახდეს, გულს ამოიღებს საგულეთიან და მის ალავს ქვას ჩაიდებს. აღარ იტანჯება. მსაგრამ დახე: ქვაც იბრუნებს პირს მისაგან, ყვაფილიც, ნადირიც, ვარსკვლავიც, აღარ ესმის მათი ენა. გაწყდა საიდუმლო კავშირი. ესლა კიდევ უფრო იტანჯება, როგორც მისანი იგი თქვამი მჩრეფე-ლანდაცა მიჩნეული. ერთხელ ხევსურთა და ქისტთა შორის შესლა-შემოსლა იჩენს თავს. თანამემამულენი თხოვენ მინდიას: უჩვენოს მათ სახელდახელო ადგილი, საცა უფრო ადვილად მოხერხდება შემოსეულთა დამარცხება. მინდია უარობს, უმხელს მათ: მისობის ძალა წამერთვაო. არ უჯერებენ, არ ეშვებიან. ბოლოს თანხმდება არმოშვებული. უჩვენებს ერთს ადგილს. ხევსურებს. ამარცხებენ ქისტები. ამ უბედურების ატანა დატანჯულს აღარ ძალუძს: მინდია თავსიკლავს.

დედანაზრი თქმულებისა უნივერსალური: შეგინება ქმნის სიყვარულს (ლეონარდოს თეზისი) — სიყვარული ქმნის შემეცნებას (თეზისი პავლე მოციქულასა). ქართულ შითოსში შემეცნება და სიყვარული და სიყვარული და შემეცნება მოშვილდული არიან ისე, რომ ლეონარდო პავლეს აესებას და პავლე ლეონარდოს.

ესლა „ლამარა“. მინდია ხედება ერთს ხრამთან ლამარას, ქისტეთის ლამაზ ქალის. ვაჟი იხიბლება. ქალის გულსაც ხიბლი იფლობს. მოკლე გასაუბრება. ჩემად ვთვლიდე — ეუბნება ვაჟი. მთელიდევ, თუ შესძლენ ჩემს მოტაცებას — მიუგებს ლამაზი მაცდური ღიმილით და გავარდება. მოიტაცებს ლამარას თორღვაი, ძმა მინდიასი, არა იდეით. ძმები გვანან ერთი-მეორეს ვითარ ორეულნი. ლამარას ჰგონის, მინდიამ მოიტაცა. ურკვევა, იმღერევა. ნოსწონს კი ორევე. მინდია გულის, თორღვაი მკვლავი. თორღვაი ემირია, მინდია მისანი. გაორება ეწვეთება მოტაცებულს. მინდია მალეული ტრფობით არის აყვანილი: იტანჯება. თორღვაი ამჩნევს ამას: იღრინება. ქისტები თავს ესხმის ხევსურებს შურისგებისათვის, ხევსურნი მაგრად ხედებიან თავდამცემთ. ორ ტომთა შორის უფსკრული ითხრება. ლამარა ხედავს: მოტაცების კვალი არ ამოიშლება მის ტომში: მწუხრდება. მოკლეს თორღვასი შეგობარი ლეგია:

თორღვაი ხელდება. მინდიას ტრფიალი თანდათან „მენ“-ის ზუმელში კერძოდება. მისანს ერთმევა თანისთან მისნური ძალა. მის ტანჯვას ამით სხვა ტანჯვაც ემატება. შესლა-შემოსლა ორ ტომთა მატულობს. თორღვასი შემოაკვდება ლამარას ძმა: მურთაზ. ლამარას არ რჩება ამ სოფლად აღარაფერი: ავად ხდება. მურთაზის მოკვლით თორღვაი ლამარას ჰკარგავს: ეანადირებული ველად იჭრება. ახლა ლამარას მამა ემხადება ხევსურების ამოსაყლელად: ირო, დილი ირო, რისხვაყვანილი. მინდია ხედავს: ხევსურები ცდილობენ დაასწრონ იროს შემოვარდნა. საშველი აღარაა. „არა, დაჩნა კიდევ ერთი“: ესმის მისანს შინაგანი ხმა. მინდია გაცემურება ქისტეთისაკენ. ეამოცხადდება იროს წინ: ვითარ თორღვაი. ირო მხადდა მოკლას იგი: ლამარას მომტაცებელი, მურთაზის მკვლელი. მინდია თავს არ იცავს. ირო გაოცებულია. თუ როგორ თავდება დრამა — ეს ჯერ მოვიტოვოთ.

ხედავთ: „გველისმჭამელითგან“ „ლამარაში“ არა დარჩენილა რა, გარდა მითიური თქმულებისა შუაგულისა, ისიც გარდაქმნილის: იქ დაცოლშვილება, აქ ტრფობა — იქ თავმოკლევა, აქ თავშეწირვა.

ესახავდი მინდიას, თვალწინ მიდგა მისი მომღერალი: ვაჟა. ვაგბედე ცდა: მგოსანი „ლამარაში“ მისნის თანამედროვედ შემეყვანა. როგორ, ისტორიული პიროვნება — თანამედროვე ზეისტორიული, მითიურისა? ავტორი — გვერდით მისი გმირისა? რა საკვირველისა, ეს შეუსაბამობა ვიცოდი. გარნა ვიცოდი ისიც, რომ ვაჟა მითიურ სიერცეში იყო მოქცეული: მითოსი მისთვის დედიშობილა იყო. არა, ალლოს არ უღალატნია ჩემთვის, ცდა არ გამშბილებია. მესამე კამარაში ვაჟა გამომჩნდება ხევსურთა ღრეობაზე. მეორე კამარაში „გველისმჭამელი“ ადგილთ, პატარს ლავაზის მიერ წარმოთქმულთ, თვითონ მინდიაც ისმენს: ადგილთ, საცა მისანი სამყაროს მიმართ ისახება. „თანამედრობა“ ვაჟასი და მინდიასი აქ უშუალო სახლოვედ ხდება.

ამ ცდას სურვილიც ასულდგმულდება: „გარემოვლით“ ეამომთქვა ჩემი გრძობა ჰომეროს ნაწიერისადმი: ვაჟასადმი.

დიდმა ხანამ ვანელი, სანამ კ. მ. მხადებას შეუდგებოდა დრამის დადგმისათვის. ალბათ ნათლივ ხედავდა სიძნელეთ.



„ლამარასა“ სიტყვიერა ცაშლისათვისა მოვიძინა-
 რჯვე ფშავ-ხევსურული ფშანი ქართულისა,
 რომლითაც გამართულია ყოველი შაირი თუ
 პოემა ვაჟასი. გამოსათქმელს აქ მისი შესაფერი
 სიტყვა ლინდა ჰგუებოდა. ფშანი იგი არაა დია-
 ლექტო, ამ ცნების ჩვეულებით გაგებით: იგი ზარ-
 შიაც ვასაგებისა. პროვინციალიზმია? არა. (მოვა-
 ლედ ვრაცხ თავს აღენიშნო, რომ ეს არაპრო-
 ვინციალიზრობა ფშავ-ხევსურულისა პირველად
 პავლე ინგოროყვამ შეამჩნია 1917 წელს, ჩემ-
 თან ვასაუბრებისას ერთხელ. სხვათა შორის ინ-
 გოროყვათა გვარი ჩერქეზეთითგანა: ერთს
 აუღეს იქ „იგორუყო“ ჰქვია. პავლემ თქვა:
 ფშავ-ხევსურული არქაული ქართულიაო. მე ვი-
 ტყუილი: ერთერთი ძველია-ძველი ფენი ქართ-
 ულისა, მიუხედავად მთებში გადაარჩენილი და დღე-
 მდე ცოცხალი.) ადვილია პროვინციალიზმის
 დანახვა: იგი სიცილს იწვევს ყოველთვის. იწ-
 ვევს სიცილს ფშავ-ხევსურული? კითხვაც შე-
 ურაცხება იქნებოდა აქ. იტყვის იმერელი:
 „წიქიშაქენი, ბოშო, პეტერეი!“ გესმით, გეცი-
 ნებათ. აბა ათქმევინეთ ესევე ხევსურს: „ჰქენ
 საქმე იგი, იყოს ცოტაიც!“ გესმით, შუაგულში
 გხვდებათ. გაუგებრობას ამ საკითხში თვით აკ-
 აციც კი წამოეცო: დიდი მცოდნე ქართულისა,
 (სხვათა შორის, მეცხრამეტე საუკუნის მწერლე-
 ბში ყველაზე უფრო ღრმა მცოდნე საღრმთო
 წერაილისა. დააკვირდით ამას „აქ“-) „ენას გი-
 წუნებ, ფშაველი“ — ასე მიმართავს იგი ვაჟას
 ერთს შაირნი. თანვე უმატებს კი: „თუმც კი
 გვითესავ მარგალიტს“. ვაჟა პასუხს აძლევს მო-
 რიდებით, შაირითვე: „და ენა მთისა სიმტკი-
 ცით მზგავისა კლდისა სალისა“. ხევსურული
 ფშანი ქართულისა მართლაც სალი კლდისაგან
 იკვეთება. დაუგდეთ ყური ვაჟას: „იმთა წყალს
 დაუბანია თამარის ტურფან თვალნი“. „იმედს
 ნუ დამინიავებ“. „კლდის თავს გაშლილი პირი-
 მზე“. „ჩემს ცრემლს უბეში ინახავ, ვიცი, სამ-
 შობლო მთვარეო“. განზე დავტოვოთ აქ სახენი
 თვალწარმტაცნი — სიტყვის, თქმის კვეთილო-
 ბა გვაჯადოებს თვითონ. კვეცილი ფორმა
 ამ ფშანისა მკვეთრია ძირამდე. თანვე იგი
 ელლიშით იმართება, ესე იგი: ართქმუ-
 ლით, გარნა ნაგულისხმევით. საერთოდ ქართუ-
 ლი სინტაქსის საიდუმლო ელლიშია — ამით
 გამოიარჩევა იგი სინტაქსისაგან რომელიმე სხვა
 ენისა. ერთი მხარე აქვს კიდევ ხევსურულს, რა
 იც მას ასხვავებს ლიტერატურულ ქართული-
 საგან: იქ უბრალო თქმა, ელლიშით გამართუ-

ლი, არ გამოდის როგორც „ყოველდღიური“.
 ერთი სცენა „ლამარას“ მესამე კანონში. თორ-
 ღვათ ილრინება და მზადაა შეტეოს ძმის: მინ-
 ლისა. რაბულ, მამა, ერთი მოკვეთილი შერის-
 ხვით აჩერებს მას. (მესამე კანონი შაირითაა გა-
 მართული.) აი ამ მოქმედით:

„ჯერ არ მიხილავ ცდუნებსა
 ჩემი დაშნა და ფარისა —
 სახელ მიქვიან რაბულს
 მინდოდაურის გვარისა!“

წარმოედგინოთ: ვინმე რისხავს სცენაზე თა-
 ვისს შეიღოს ამადე სიტყვებით, ხოლო ჩვეული
 ქართულით, აი ასე: „მე მქვია სახელად რაბულ
 და გვარი ჩემი არის მინდოდაური“. ნაძღვეს
 ედებ, თუ რომელიმე მსმენელმა წამსავე არ მი-
 ახლოს მრისხავს: „მერე რა!“ თუ მიმხალბე-
 ლი იმერელია, „ბოშოსაც“ მიაყოლებს თან და:
 მთელი რისხვა პამპულაის ქაჩვად გადაიქცევა.
 იქ კი უბრალო თქმა იგი ლახვარია თვითონ. ხე-
 რავთ დევ-კაცს, შემმართებელს.

აღარ გავაგრძელებს ხევსურული ძნელისა
 სცენისათვის. ბარის ქართველისათვის საჭიროა
 აქ ხევსურად ქცევა. ამ სიძნელეს ხედავდა კ. მ.
 დავუმატოთ ამას ისიც, რომ ქართული სცენი-
 თგან მანამდე არავის სმენია ხევსურული. ამის
 გამო სიძნელე იგი სახიფათოდაც ეჩვენებოდა
 მას. ერთი უცნაური წაბოძიება მსახიობისა და:
 სიტყვა მყისვე სიცილს გამოიწვევდა.

იმორე სიძნელე, ბევრად, ბევრად უფრო
 რთული. ვიქნის შეუმჩნევიათ, რომ აღნაგე ჩემს
 შემოქმედებაში მუსიკალური პრინციპითაა გა-
 ყვანილი. ქართველთა შორის აღნიშნა ეს აქ,
 უცხოეთში, მიხეილ წერეთელმა, იქ, საქართვე-
 ლოში, ვუკოლე ბერძენს. პირველად ვუკოლე
 წაუტეოთ „ლამარა“, როგორც მცოდნეს ხე-
 სურულისა: მწადდა არ შემპარებოდა რაიმე აბ-
 რუნდი. ყოველი კანონის დათავების შემდგომ
 სიტყვა მისი ეს იყო: „სიმფონიაა, სიმფონია!“
 უნდა გენახათ ამ წუთს გაბადრული პირობილი
 მსაი, ჰეტტიტური! უცხოელთა შორის მოვიყ-
 ნან სიტყვას რომენ როლიანისა. 1925 წელს
 გაუგზავნა მას ვიორჯი ელიავაძე (დახვრიტეს
 1937 წ.) პარიზითგან, ჩემი თხოვით, ელისაბედ
 ორბელიანის მიერ: თარგმნილი „მალმტრემ“
 და „ლონდა“. „მალმტრემ“ არ მოსწონებოდა.



„ლონდას“ შესახებ სწერდა ვიორჯი ელიიანს სხვათა შორის: „Mounet-Sully eut subi l'envoûtement magique de LONDA—mais il n'y a plus Mounet-Sully“. (მუნენსაფლოლი: საფრანგეთის სახელკანთქმული მსახიობი ტრაგიული როლები: 1841 — 1916.) „Je trouve cet art (surtout les premières et les dernières pages de LONDA plus proche de nos grands musiciens que de nos poètes“. მეორე ბარათში კვლავ იგონებდა „ლონდას“ და სწერდა: „... et dont l'architecture musicale m'avait frappé“.

არც ერთს ჩემს ნაქმში ეს „მუსიკალური არქიტექტურა“ არაა ისეთი მძლეობით მოხმული როგორც სწორედ „ლამარასი“. ყოველი მომქმედი პირი, მთავარი თუ თანმყოფი, შესულია აქ ღრსამში ისე, როგორც რომელიმე ინსტრუმენტი ორკესტრში. წარმოიდგინეთ, რა სიძნელე აღიმართა რეჟისსურის წინ. ხოლო ყოველი სიძნელე ერთობ — ასეთი იყო მისი „ესპანური“ ბუნება — ახელდება მხოლოდ შემოქმედებითს ენის კოტე მარჯვანიშვილისა.

ერთს მშვენიერი დღეს, ხანგრძლივი სწონდაწონის შემდეგ, შეუდგა იგი მზადებას. როგორც იყო ჩემი განცვიფრება, როცა მიხერა: მეოთხე კამარა განზე დავტოვე, მხოლოდ ბოლოს სცენა მისი მოვიტოვე და მესამე კამარის ბოლოს სცენას მივბრუნე. მოსახრება? მეოთხე კამარა ხელს უშლის მოქმედების დრამატული მალა-მალა ვითარებასა. გავშტერდი. ხელს უშლიდა მართლმად? დღესაც ვერ ვამიგნა ეს. გვიბლავს ანკარა წყარო ამონაკადებული. კიდევ უფრო ვიბლავებით, როცა მისს ფსკერში თვალს მოგვრავთ ცინცხალ თვალს: მოჩუჩხუხე „წყაროსთვალს“. მეოთხე კამარა „ლამარასი“ სწორედ ეს წყაროსთვალა. სულიერი დრამა როგორც ლამარასი ისე მინდასი ამ კამარასში იშლება. გარეგან აქ მოქმედება მინელებულია — მით უფრო დინამიურის იგი მინაგან. ეს შეუშლიდა ხელს დრამის რიტმულ დენასა? მაგრამ ვის შეეძლო კოტეს გადაგვირება! დავუთმე გულისწყვეტილმა.

„ამპუტაცია“ მეოთხე კამარისა ჩემთვის სხვა მხრითაც იყო მტკივნეული. იმ დღეებში, როცა „ლამარას“ ვქმნიდი, ვარდაიცვალა ორფეოსი ქართველთა: ვანო სარაჯიშვილი. მამული გლოვამ მოიცვა, დედული აცრემილდა. დავაფლიალება — კოტეს მიერ განრიგებული — მის-

ტერიად იქცა ჭეშმარიტად. დავასაფლავეთ ბალოში საოპერო თეატრისა. დავბრუნდი შინ დამწუხრებული. მწუხარება ნათელი იყო. ვიწყე განგრძობა „ლამარასი“. მეოთხე კამარა სწორედ ამ ღამეს იშვა. და მერმე როგორ? ვწერდი ისე თითქო ვინაც მიკარანებდა. არც დამჭირებია: არც სიტყვის შენაცვლება, არც თქმის სხვაგვარი მოხმევა, შესვენებითი ნიშნით ცნა, ისიც უცვლელი დარჩა. ასე შევიდა ეს კამარა მთელს ნაქმში: ვითარ ნაყოფი ხალასი ინსპირაციისა. სამუდამოდ დადუმებულმა ორფეოსმა თუ მარტუნა ეს უნათლესი მადლი! მკითხველი წარმოდგენს ჩემს ტკივლს, გამოწყვეტოს იმა „ამპუტაციით“.

მზადება გაჩაღდა. კოტესთან ერთად მუშაობდა რეჟისორი ალ. ახმეტელი (დახვრიტეს 1937 წელს): ნიჭით უხვად დაჯილდოებული. მოათავეს ორი კამარა. უეცრად ავიდა ვანო კოტე: ბრმა-ნაწლევის ანთება დაემართა. ოპერაცია არც გამოვიდა სასურველი. დიდ ხანს იწვა კლინიკაში. დრამა ვაგეგმილი იყო ბოლომდე. ახმეტელი ეხლა მარტო მუშაობდა შემუშავებული გეგმის მიხედვით. მოათავა მზადება.

29.1.1926. პირველი დღე. ვზივარ პირველ ლოჯიაში, სცენითგან მარჯვნივ. ირგვლივ მეგობრები. თეატრში ტევა არაა. ვლელავ. მარცხის მეშინია? არა: ვლელავ, თითქო მათრბელი პანდინისათვის ემზადებოდე. თეატრი ნაბითთა დამატული. ფარდა აიხადა.

სცენაზე ბიჭები, მწყელები. მათ შორის ლავაზ. თამაშობენ, ცეკვობენ, მღერიან. გაისმის ძველი ქართული სიმღერა: „აი მთაზედა — თოვლიანზედა — ია დავთესე — ვარდი მოსულა“. აგრძელებენ. სიმღერაში ქართულ გენიას სიბრძნე „შეუბარებია“: რომ სიცოცხლე ხალისისა, ხოლო წინააღმდეგობით სავსე („ია დავთესე, ვარდი მოსულა“). წინააღმდეგობა უბედურებით იშლება: „სიძე, სიმამრი მთას ნადირობდენ“, განაგრძობენ ბიჭები. „ესროლა სიძემ, მოკლა ირემი — ახლა სიმამრმა, მოკლა მან სიძე“. სიმღერა გრძელდება. მღერიან არა ერთად: ათავებს ერთს ხტილს ერთი, აგრძელებს მეორე მეორეს. მოათავებენ. ახლა კი ერთად დამწყებ მუხლს: „აი მთაზედა — თოვლიანზედა — ია დავთესე — ვარდი მოსულა“. სიმღერა ორკესტრალურ ხსნის დრამას.

სიმღერის ხტილი მოშვებულან საქართვე-

ლოს შუაგულში იდგან. ვგზნებ, იმმუშნება „შუა-
გული“ მსმენელთა გულში: მაგნეტურმა ტალ-
ლამ გაიძინა თეატრის ტანში. გახარებული
ვარ — ეს უკვე მარჯის ნიშანია.

გამოჩნდება მინდია. ხელავს: ჩიტის ბუდე აუ-
ნგრევიდათ. ახლა ჩიტის-გულია თვითონ. ბავშვ-
ები გარს ეხვევიან — ესენი ჩიტის ბარტყებია.
ამას მოსდევს გველის სცენა. მინდია ცხადდება
როგორც მესაიდუმლოვე გველისა. უცქრად,
იქითა ნაპირს ხრამისა, ქისტო-გოგოებიც გამოჩნ-
დებიან: წყაროსაკენ მიდიან. მათ შორის ლანა-
რა: კენარი ტანი, თმა მწიფე უნაბისფერი, თვა-
ლებში ზღვის ტალღის ცილი, ბიჯი ნელი.
თვალს ვერ აცალკებენ. გოგოები აღარ სჩანან.
ბიჭები ხარებისკენ გაემუჩებოდნენ, მინდია მარ-
ტო რჩება. გოგოები ბრუნდებიან, საცხე დოქე-
ბით მხრებზე. მიდიან. ლამარა უკანაა. შეჩერ-
დება. გასაუბრება მინდიასთან. პირველი ისარი
ეროტისა: ორივეს გულში. „ჩემად გთვლიდეს!“
აღმობდება მინდიას გულს. „შენი ვიქნე, მომი-
ტაცებდე!“ ეს ლამარას ღიმილის, მაცლურა გა-
მოწვევი. ვარბის ქალაი.

მოვარდება თორღვაი. გაიგებს ლამარას ნათ-
ქვამს. „გაპქიო აქეთვან!“ შეუტევს მინდიას. მი-
ნდია სცილდება, დაღონებული. თორღვაი ხედ-
ვა ახლა მარტო, ხრამის იქითა ნაპირს მიმარ-
თული. ბრუნდება ლამარა: ალბათ კვლავ ჰსურს
გაგაუბროს მინდიას. თორღვაი შესძახებს: „ჩე-
მი იქნე, ლამარა!“ ლამარა გაოცებულია და ში-
შით აყვანილი: არა, ეს „ივი“ არ უნდა იყოს,
მორჩენება თუა! დოქი ხელითგან გაუფარდება.
გავარდება დაფუთებული. მისდევს ზახილი თო-
რღვისა: „მოვიტაცებ, ლამარა! მოვიტაცებ!“.

ახლოვდებიან მთიბავები. მოიმღერონ. მღე-
რაში ეღვარა: „ლურჯაი ხრავდეს ლაგამსა“.
თეატრი ახლა მხედარის, რომელიც, ესაა, უნდა
მოახლოვდეს კუთვბ-ათამაშებულ ბედურს. ვამჩ-
ნევ, სახსრებით წვდება შორეულს. გაათავდა
„უფერტაურა“ (სქ წინკლებით გადმოცემული).
ფარდა ეშვება. თეატრი ერთი წუთით იტრინ-
ვება და უცქრად: „ვაშა, ვაშა!“ ზახილი იფ-
რქვევიან სცენის მიმართ, როგორც ტალღები
ღელვან-გამზადილი ზღვისა.

მეორე აქტი. ქავთარის სახლი. გაისმის ნელი
ნანინა: „დაი, დაი! შვილო, დაი!“ ქალნი არ
სჩანან. ლაგაზის პატარა ძმას თავს დამღერონ:
ავადა, გველ-ნაკბენია. უკვე შეღამებულია.
ლამე მთვარისა. ქავთარ აივანზე: მოცილის მი-
ნდიას. მოსაყვანად ლაგაზისა გაგზავნილი. გამო-

ჩნდება მურთაზ, ძმა ლამარასი. სახადიროლი ყო-
ფილა, შემოღამებია, ლამეს ქავთართან გაათევს.
ქავთარ მიიწვევს, მისხედებია. მოღის ლაგაზ,
მინდია არ სჩანს. „სადაა მინდია?“ პასუხი:
„მთვარეს ესაუბრება“. მურთაზ გაოცებულია.
მოღის მინდია. მოკლე საღამო. შეღის სახლში.
პაუზა. გვამოღის. ამბობს: „არა უწმეს, ნაკბენზე
გველის-ქვა დავადე“. მურთაზ გაკვირვებით
უცქერის მინდიას. სუფრას გაშლის ლაგაზ. შე-
ექცვიან. ქავთარ ამჩნევს მურთაზს გაოცებას.
„აბა, შირი ვაჟასი!“ — მიმართავს ლაგაზს. ესეც
იწყება წარმოქმას ადგილებსა „გველისმჭამე
ლითგან“. მინდია ისმენს ვითარ მთვარეული,
მურთაზ აფრთოვანებული. ყოველი ადგილის
დათავებისას, მინდია: „კარო უთქომ“, მურთაზ:
„ლამაზ უთქომ“, ქავთარ: „იხაჯებდე მინდი!“
და ასე: შეექცვიან, ჰხარობენ. მინდიას არ უნა-
ხავს ვაჟა, გაუგონისა კი. მურთაზს პირველად ეს-
მის სახელი მოსწონის, აღტაცებულია.

მილაგდებიან საძინებლად. მინდია გარეთ
რჩება: ჰსურს განავრძოს შეწყვეტილი საუბარი
მთვარესთან. მასთანვე რჩება ლაგაზიც. უცქრად
ხმაური. მოვარდებიან: თორღვაი, ზვიდა, ნა-
ღირა, ლეგაი. მოჰყავთ ლამარა: გული წასღვია
მოტაცებულს. დაწვევენ ქვის გრძლად გაწე-
დილ სკამზე. ზვიდა, ნაღირა და ლეგაი განაპი-
რდებიან: დაუხვდენ, თუ ვინცოსაა მოადგენ
მღვენელნი. თორღვაი ლაგაზს: „აბა, წყალი!“
ლაგაზ გავარდება მოსატანად. მინდია დგას და-
მეხილი, სწრაფად ცალკა-ახვეული, თორღვაიმ
რომ ვერ გამოიცილოს. თორღვაი მთვარე მხარეს
მიაშურებს, იმავე მიზნით, როგორც მისი მეგობ-
რები. მინდია უახლოვდება ლამარას. ჩურჩულს
აწვეთებს ტბილი ხმით. ლამარა ვერძნობს ბუ-
რანში: ეს „ის“ ხმა უნდა იყოს, ხრამთან რომ
მოესმა მამეინ პირველად. არეულია. გამოღის
მურთაზ. ამბობს თავისთვის: „თვალს რულ არ
ეფინების“. ლამარას ესმის ნაცნობი ხმა, ივი-
ლებს. კვილიზე თორღვაი მოვარდება. მურთაზ
და თორღვაი პირისპირ: ორივე აღესილნი. მზად
არიან შესატევად. ხმაურზე ქავთარ გამოღის.
გაიძნის: „რა მოხდა?“ შესატევად განმზადილ-
ნი ქვაველებიან: შეტევა მასპინძელთან, აგონდე-
ბათ, შელახვა იქნება წმინდა ადათისა. „შეგნ-
დებით სხვან!“ ესერის მურთაზ თორღვისა
და მოსხლოვება ნადიროვით დაკოდილი და გა-
ვარდება. „იქნების!“ გააყოლებს მიხილით თორ-
ღვაი. ლამარა ქვითინებს. ქობითგან მოისმის
კვლავ ტბილი ნანინა: „დაი, დაი! შვილო, დაი!“.

ფარდა ეწვება. სუნთქვა-შეკრულ თეატრს აღმოხდება: „ვაშა!“ ტაში ახლა გრიალის.

მესამე აქტი. ღრეობა. ჯიხვის რქები ლუდით. თამადა: ქეთარ. ნადიმი იშლება ძალაყრილობით. ყოველი სმურთი შაირით გამართული და ყოველი შაირით ხვესურული ელქიძისით მოზმეული. აქა ერთი. იტყვის გივი:

„თუ რთ ტყუილ ვთქო, ვირისხო:
ბარმა მიმიღოს, მთამ არა.
ალი ვნახოდი წითლახზე,
მარტო პერანგის ამხარა.
ვაქებ თორღვას მკლავებსა,
მაუტაცია ლამარა!“

მონადიმენი ხვესურული შეხალისებით: „პაი, პაი, გივი!“ („წითლა“: ცხენი. „ალი“: ნაგულისხმევია ლამარა, ვითარ ზღაპრული ჯადოსანი ქალია.) მამელი მსმელს ცვლის და შაირს შაირი. შიგადა-შიგა საიმღერს.

მოდინ: რაიბულ, თორღვა. ლამარაც. აგრეთვე მზიულა, დამ თორღვისა. ნადიმი გრძელდება. ახლა როკვა. ცეკვავენ ქალები, მათ შორის ლამარაც. მინდია მოსულა ცალკე-ახვეული. ხედავს მოცეკვავ ლამარას. ეცდარ ითმენს. მიუხანლოვდება. იხანის საფაჩს. ლამარა მოხედავს: ვაფითრდება, გული წაუვა. თორღვა მიიწევს მინდიასკენ. რაიბულ აჩერებს, შეჩისხავს. (თუ როგორ, ზემოთ მოვიყვანე.) ლამარა მიჰყავთ თორღვიც თან მიჰყვება. მინდია ამხელს თავისს გულისტკივილს. ლხინს ეს ვერ ამღვრევს.

უცრად ხმა: „ვაჟა მოდის, ვაჟა!“ ნადიმის ამხურება. გამორჩდება ვაჟა. ხვესურნი, ამ წუთს ერთი გუნდი ყველანი: „ვაჟა!“ ვაჟა მალლობითან: „ფშავ, ხვესურ, თუშ, კახ, ქართ, იმერ, გურ, მეგრ, სვან — შეილნია საქართველოს! მარჯი საქართველოს!“ მოზმანება გრიალით: „შეილნია საქართველოს! მარჯი საქართველოს!“ მიიწვევენ. ზვიდას სმურთი ვაჟას მიმართ ვაჟაური შაირით. ვაჟა თხოვენ შაირს. ვაჟაც იწყებს წარმოთქმას „ფშაველი ჯაჩისკაცის ბარათს დედისადმი.“ „გულმკერდიც აგყოყდება, დედაო, ია-ვარდიოა“. უჩუანტელი ელექტრო-ტალღა. განაქრძობს. მსმენელნი სუნთქვა-შეკრულნი. და როცა წმინდა თაყვანით ჩამოაწვევებს: „ეს ჩვენი ჩუმი მფარველი ლამარის ჯვარად ესცანითა“ — **თეთრი გიორგის** ლანდი იფინება ირგველივ, მზიურ ალივლივე-

ბული. „ვიცქერ, მატყლას სჩერ, ფარტენას — ცრემლი გისველებს ტიალი“. და რა მიუმატებს: „იგ ხომ ჩემ საჩოხედი გინდა“ — მსმენელთ ცრემლები აწვებათ. ათავენს. მოლხინეთა „ვაჟა“ — რაიც აქ იგვება რაც „ვაშა“ — არღვეს აბობოქრებულნი რეალურ ზღვარს.

ფარდა ეწვება. ფეხზე დგება მთელი თეატრი. მეც ვდგები. ტაშის ქრისალი სცენის მიმართ. მეც მივყვები გრიალს. ფარდა იხდება. ვხედავ: სცენითგანაც ტაში მოდის. გაოცებული ვარ. ერთი მეგობარის ხელი ჩემს მარჯვენა მხარზე. ვერკევი: სცენითგან მომვებულნი ტაში ჩემკენ აბრუნებს მისადმი მიხედავებულ ტაშს მთელი თეატრისა. ეხლა კი ბრუ მესხმის: თითქო მე სხვა ვიყვე, ნათელი ნეტარებით ტანაყვანილი.

(გადახვევა. ამ აქტის ბოლოს აქვს „მიწებებული“ ის ნოვეცილი ბოლოსცენა მეოთხე კამარისა. ეს სცენა: თორღვისა და მურთაზის ხრმალ-ლა-ხრმალ წყერა და სასიკვდილოდ დაჭრა ჟკანასკნელისა. „ნიწებებას“ სჭირდება: თორღვა და ლამარა ნადიმის ბოლომდე დაარჩენ. იქ, მეოთხე კამარაში, რომელიც აქ მოუთხრობელი მჩდება, ეს სცენა მომზადებულია — აქ, მესამე კამარის ბოლოს მიწებებული, „ოპერისებური“ მორთმეული. როგორ ბოლოვდება მესამე კამარა, ტექსტში? ვაჟა ამთავრებს შაირის წარმოთქმას. მოლხინეთა აღტაცება ისეთია: ლამის ვაჟა ცისაკენ აღტაცოს. რით განოახხეულონ ასეთი აღტაცება? მარტო შეფრქვევით „ვაჟა“? გამოუწვებენ მროკავებს. როკვა იმართება ამოწვდილი ხრმლებით. არ დაუთმავრებისთ როკვა — ერთი ხვესური მოვარდება ზახილით: „ქისტები დაგვეცენ თავს!“ მროკავთა აწვდილნი ხრმალი ახლა ბრძოლისათვის აელვარდებიან. ყიყინი: „ხრმალი, ხრმალი!“ ყველანი მიემურებიან: დახვდენ შემოსეულთ. აი ნამდვილი ბოლო, ტექსტში მესამე კამარისა. ელალატე „მუსიკალურ არქიტექტონიკას“ მგონია, კითხვაც შედმეტია.)

მეოთხე აქტი. ესე იგი: მცხთე კამარა ტექსტისა. სცენაზე: იხო, მამა ლამარასი, პიდდირ, მამა იჩოსი. ირგვლივ ქისტნი მეომარნი. იხო, პირწავარდნილი შამილი, რისხვით აყვანილი. მოატაცეს ლამარა, მოუტლეს მურთაზ — მრისხანე მოვარდნილი გრიალია. უმზადება: ახლა თვითონ შემუსროს ხვესურნი. სასხლი აჩოხს. აცნობებენ: ვანმე ხვესურს ჰსურს შენი ნახვაო. „ხვესურის“ გაგონებაზე მსმა იტყვევა სრულიად. „შემოვიდეს!“ შემოდის მინდია. „ვინა ხარ?“

ვანი ვერ გამოდგა როგორც სცენის-მომჩიველი. (შემდეგ ირაკლი გამრეკელმა მოართო სცენა: მისი მოართულობა ბევრად უფრო შესაფერი გამოდგა.)

კოტე მარჯანიშვილი ექვს დღესწოთ წარმოადგენს: ჯერ კიდევ კლანიკაში იწვა.

ვაიმარჯვია თეატრმა. თეატრის გამარჯვება უმთავრესად ამასში გამოიხატებოდა: „ლამარათი“ მან შექმნა სრულიად ახალი სტილი, წმინდა-ქართული. თუ რა მინდა ამით ვთქვა, ვაი-გებს ყოველი მცოდნე თეატრისა, თუ მას უნახავს ებრაელთა თეატრი „ვაბისა“ ან და ცაუგონია იაპონელთა „კაბუკი“.

პროვინციაში „ლამარას“ კიდევ უფრო მეტი გამარჯვება ერგუნა. ამის აღწერას აქ არ აქვს ადგილი. ვახსენებ ერთ დეტალს მრავალმეტყველს. მათქმში ერთგვარად მსახიობთათვის: იქ, საცა ვაჟა მიქსალმება ხეცურებს — „ფნავ, ხეცურ, თუმ, კახ, ქართ, იმერ, გურ, მეგრ, სვან“ — ჩაუმატებდეთ ერთს სახელსაო. რომელს? „აჭარა!“ ხედავთ როგორ მოხვედრიათ „ლამარა“ ჩვენს მუსულმან ძმებს!

სახელი „ლამარა“ მოეფინა მთელს საქართველოს. დარქვეს იგი სადღაც ცხენებს, დაარქვეს ერთს რესტორანსაც ტფილისში. საითგან მოდის ეს სახელი? მოვივინოთ ერთი წარმართი ღმერთქალი, ცნობილი სახელით „ლაგმარ“ — გაიხსენოთ „ლამარა“, სახელი სვანთა ერთი პატარა სალოცავისა. ქართველ ქალს არაოდეს რქმევია „ლამარა“ — ღრამის განფენის შემდგომ ამოკრალდენ მრავალნი „ლამარანი“, ცქრი-ალა ცირანი. დღეს დაქალებულნი იქნებიან. ერთი „ლამარა“ ექრობაშიც იმყოფება. ვინაა იგი? ცნობას მოგცემთ პარიზში მცხოვრები თამარ ბერეჟიანი, ქართველი ქალის სილამაზის დედოფლური წარმომადგენელი.

საუბედუროდ მარჯს მარცხიც მოჰყვა — არა „ლამარასი“. თავი იჩინა ქართველთა თანდაყოლილმა სენმა, უკეთ: შინაგან ვერძლეულმა საფრანგმ. მარჯანიშვილისა და ახნეტელის შუა შუილი ჩამოვარდა. მარჯანიშვილმა მიატოვა თეატრი და საკუთარი დაარსა. მას თანავაყვ ერთი მცირე ჯგუფი მსახიობთა, ამათ შორის: თამარ ჭავჭავაძე, უმანგ ჩხეიძე და შალვა ლამ-

აზიძე. ნაცვალი თამარისა ვერ გამოდგა „ჭავჭავაძური“, ვერც უმანგისა „უმანგური“ და ვერც შალვასი „ლამაზიძური“. ვანსაკუთრებით მტკივნეული იყო უმანგის გამოჩენა. უმანგი, აკაკი ვასაძე და აკაკი ხორავა ქანუყრელ სამეფულს წარმოადგენდნ — არა მარტო თეატრში, ნაღმიშოაც. უნდა მოგესმინათ მათი სიმღერა უხვად გაშლილ ქართულ სუფრანზე: ვასაძის ანუ ვარებულნი დაწყება, უმანგის მეტური მოძახილი და ხორავას ნელი გუგუნით გამფენელი ბანი. აი, აქ იყო სიმღერა: ქართული სიმღერა! ვა, ბედო ქართლისა: უმანგი უნდა ამოვარდნილიყო ამ სამეფულითგან და განაპირებულიყო?

წლებმა განვლეს. 1930 წელს ზაფხულში გამართა მოსკოვში სათეატრო ოლიმპიადა ყველა ხალხთა საბჭოეთისა. რუსებმა გამოეშვეს შეჯიბრში, სხვათა შორის, „პრინცესა ტურანდოტ“, რომელმაც, რამდენადაც მახსოვს, პირველი ჯილდო მიიღო 1926 წელს პარიზში. ჩვენმა თეატრმა გამოეშვა სამი პიესა: „ნგრევა“ ლავრენიევისა, „ანზორ“, გადმოკეთებული სანდრო შანშიაშვილის მიერ ესეგოლოდი ივანოვის „ბრონტოუნდ“-ითგან და „ლამარა“. ახმეტელს არ ეშინოდა: შიში რაა, მან საერთოდ არ იცოდა. მე დარწმუნებული ვიყავი: „ლამარას“, თუ პირველ გადარდნასა თავში მოექცეოდა, ვერასოდელი ფაშატი ვოლგის გადატრუსულ ველებითგან დაწწოდა. ხოლო ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს მზე-ნაშვი ფაშატი, ერთგვარად სპორტის ენით: სხვებს ასი მეტრით უკან მოიტოვებდა.

ვაუბნოთ მხოლოდ ფაქტები. ყოველი პიესა საცდელად ორჯერ უნდა დაედგათ. „ლამარა“ დადგეს რვაჯერ ზედიზედ: „გამოცდა“ მცდელობათვის თრობად იქცა. საგულისხმიერო თანვე: ამ რვაში ერთხელ დადგეს საგანგებოდ მოსკოვში მცხოვრებ სუცხოელთათვის და მთორხელ მხოლოდ მსახიობთა და რეჟისორთათვის მოჯიბრე თეატრებისა. ერთხელ, ივნისის 26 — არის ეს აღნიშნული თეატრის დღიურში — ოვაცია ოვაციაზე ვაგარძელდა მესამე აქტის შემდგომ ნახევარ საათზე მეტი: 35 წუთი. პრესა დიდ ქებით შეხვდა „ლამარას“. ერთგან ეწერა — „შექაპირესკიე ობრაზი“. ამავე დროს ხაზს უსვამდნ: შინაგან ეს „ჩვენ“ არააო. ეს ჩამსტება — რა საკვირველია — ქებას კიდევ უფრო აძლიერებდა. ერთმა გერმანულმა ჟურ-



ნაღმსა, რომელიც მისვინ მოსკოვში გამოდიოდა, მიმოხილვა ოლიმპიადისა ამ სათაურად გამოაქვეყნა: „ლამარარარარარა.“ [დეტალი, რომელიც მონოგრაფიულ ჰეგელს მთელს სურათს. ბოლოს ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტი. ერთს წარმოადგენს თვით „იგი“ დასწერბოდა: სტალინი. (მე ოლიმპიადას არ დასწერბივარ.) მთსულიყო, როცა ბოლო აქტი მიდიოდა. ფარდის ჩამოშვების შემდეგ, სურვილი გამოეთქვა: თავითგან ბოლომდე განმეორებინათ წარმოადგენს. რა საკვირველია, განმეორებინათ დაცალიერებულ თეატრში — ახლა მეტი ტემპერამენტით, ესეც რა საკვირველია. შეიძენ სტალინიში საქართველოს ფესვები?

30 წელი შესრულდება მომავალ შემოდგომისზე დღითგან „ლამარარარარა“ დასრულებისა. ამ ხნის განმავლობაში არ მომსწავლა ფიქრად აი რა:

მომქმედ პირთა შორის ლამარა თვითონ ლანდურ არის გამოყვანილი — ამცეც დროს ყველაზე უფრო ნამდვილია, ეთქვათ: საგზნები, სუნნილოვანი. დღეს ვუფიქრებდი ამ საცნაურ დეტალს. მგონია, აქ უნდა იმალებოდეს საიდუმლო ძალა „ლამარარარა“.

გრიგოლ რობაქიძე

იანვარი 1954

ქენცვა

მინაწერი: ზოგიერთ კიდევ მომავალ რეგულში. ერთი ა დ ს ა რ ე ბ ა თანამემამულეთა წინაშე. „ლამარა“ მოვლენილია საქართველოს შუაგულითგან. მე როგორც ავტორი მხოლოდ და-ნხოლოდ „მომყვანი“ ვარ, მისი. არავის გაუკვირდეს სათაური: „ბიოგრაფია“ — „ლამარარა“ ჩემთვის პიროვნული არსია.

გ. რ.

„მ ი მ ე მ ი“ და „მ ი მ ღ ე ბ ი“

III

განვიხილავთ რა სხვა და სხვა ერთა ერთობას ქართლს სარბოლასში, ძვირად ვხედავთ ისეთს სიანხლოვეს ორი ერთა, რადგან იყო ბერძენთა და რომაელთა შორის. ის ინდოგერმანული ერთი-ერთის მონათქსავე ჯგუფები, რომლებიც აგრეთვე საუკუნოებით უწინარეს მათი გამოსვლისა ისტორიის ასპარეზზედ ჩრდილოეთი და შუა ევროპითგან ჩამოესახლენ იტალიაში, მოდგმით და ენით ახლო იდგენ ბერძენ ტომებთან, რომლებმაც, იმავე ადგილთაგან წამოსულებმა, მალკანეთის ნახევარი - კუნძული დაიჭირეს და იქითგან დაიბარეს ქვეყანაში მცირე აზიის დასავლეთ ნაპირთა, ეგეის ზღვის კუნძულები, და სხე. გეოგრაფიული პირობებიც იტალიისა და საბერძნეთისა თითქმის ერთი და იგივე იყო. და წარმოშობა და ზრდა რომის კულტურისა მოხდა ერთი მხრით ბერძნულსა და მეორე მხრით ეტრუსკული კულტურულ გარემოცულობაში. მოსალოდნელი იყო ამიტომ, თუ „მიცემას“ და „მიღებას“ გადამწყვეტ მნიშვნელობას მივაწერდით, ნარევი ბერძნულ-რომაულ-ეტრუსკული კულტურა. ხოლო შევხედავთ რა ზრდა-დამთავრებულ ანაგვეს რომის კულტურისა იმპერატორთა ხანის დასაწყისში, სულ სხვა ნამოქმედარი ადამიანის სულისა აღი-

მართება ჩვენ თვალთა წინ, ვიდრე იყო ბერძნული, ან ეტრუსკული. ენა რომისა, ლათინური რომელიც სამწერლობო ენად გახდა ლათინთა, კუმბრთა და სამნიტთა დიალექტთაგან, ძლიერი მცირე ნასესხებ ელემენტს შეიცავს ბერძნულითგან, მცირესევე ეტრუსკულითგან, მოუხედავად იმისა, რომ ეს ტომები ბერძენთა და ეტრუსკთა მცხოვრებლები იყვნენ ხანგრძლივად. და ამ საკვირველმა ენამ ისეთი თვისება მიიღო აზრთა მკაცრი სისწორით გადმოცემისა, რომ ძვირად თუ შეედრება მას ამ მხრით რომელიმე სხვა ენა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომი მართლად ეტრუსკთაგან დაარსებული ქალაქი იყო (მეცხრე თუ მეორე ს. ქრ. წ.) და სახელიც მისი შეიძლება ეტრუსკული იყოს. ეტრუსკები თვით მალე მოიპყრნენ რომელითგან სამხრეთის მხრით და კელტთაგან ჩრდილოეთი იტალიის მხრით და მათი ენისაგან დაწამოთენი კვალი ლათინურში ენათ-მეცნიერთა მიერ ძნელად საძებარი და აღმოაჩენია მხოლოდ. ეტრუსკულ ენაზედ ნამდვილი წარმოადგენს არ შეუძლია ქონდეს დღეს ენათ-მეცნიერებსა საფლავთა და სხვა მცირე წარწერათა მიხედვით, რომელიც დაზრდენ ერთ დროს მართლ-საჩინოდ განვითარე-

ბუნლი იტრუსკული მწერლობითგან და ეკუთვნის იუმეტეს ნაწილად მეთოხეს ს. ქრ. წ. — დიდებული ენა რომაელთა, ლათინური ენა სამ ზემოხსენებულ ინდოგერმანულ ჯგუფთა ქმნილებსა და ძალამ ამ ენისა გაარღვია რკალი ბერძნულისა და ეტრუსკულისა, არი გახდა იგი ნარევი ლათინური - ბერძნული - ეტრუსკულიად და განვიითარდა მისი თავისებურობის სრული შენახვით. — ხოლო ბედი ამ ენისა ისეთი დიდი იყო, რადგანაც არც ერთის სხვისა, — არც ბერძნულისა: მის ძირებზედ აღმოცენდენ შემდეგომად რომის მიერ გააღლიისა და იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობისა ახალი „ლათინური“ ენები, ლათინური გახდა ენად მსოფლიო, კათოლიკე ეკლესიისა და ენად დასავლეთი ევროპის მეცნიერებისა სამშალო საუკუნოებში, და შემდეგაც დიდხანს დამთა. ან-ბანი ლათინური ბერძნულთაგან არის ნასესხები, ნაგრამ მას ლათინთა ეროვნული შემოქმედების ბეჭედი აზის: სახით იგი განსხვავდება ბერძნულისაგან და შვენიერიც არის, — არა უშნო, უკულმა დაწერილი ასოებით, ეტრუსკულივით, რომელიც აგრეთვე ბერძნულთაგან იყო ნასესხები. და ეს ლათინური ან-ბანი აგრეთვე შემდეგ დასავლეთი ევროპის ყველა ქრთაგან იყო შეთვისებული და დღესაც მით სწერენ ივინი. ეს არის სუბრეველესა გამოჩენა რომაელთა, ლათინთა სულის შემოქმედებითი ენერგიისა, და არა ისეთი უშიშნველო და „თავის-თავად გასაგები“, რადგანაც შეიძლება ბევრს იგონოს და უჩვენოს.

თუ რომაელთა მწერლობა, წარმოშობილი მართლ-საჩინოდ უკვე მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინად, მეთოხე და მესამე საუკუნეში ამავე ქრისტეს-წინა დროისა სუსტი და უფრო წაბაძვა იყო ბერძნულისა, თუ მეორე საუკუნეში, როდესაც საბერძნეთი რომის პროვინციად გადაიქცა, რომელიც კიდე უფრო დაუახლოვდენ ბერძნულს და ისე შეითვისეს მათი კულტურა, რომ ყოველმა განათლებულმა რომაელმა იცოდა ბერძნული ენა და მძალა საგნებზედ საუბარი ბერძნულად იყო რომის კულტურული საზოგადოებაში, ყოველივე ესე მაინც ვერ შეიქმნა მიზეზი რომის მწერლობის მართლაც ბერძნულის განაღვად განდომისა. შეძლებული, სწავლის მოყვარე რომაელი ათინაში იღებდა განათლებას და ამით ამყობდა, მის წიგნთ-საცავში ბერძნული მწერლობის ძველები იყო უმთავრესი განძი, კულტურული რომის ჰელენოფილიობა იქამდე იყო მისული, რომ

თვით მის პოლიტიკაზედაც ბერძენთა მიმართ ჰქონდა გავლენა, მაშინ როდესაც რომის პოლიტიკა სხვა დაპყრობილი ერთა მიმართ მკაცრი იყო. მაგრამ ამან ყოველმან ვერ შესძლო შეგრძობა ზრდა და გაფურჩხა რომაული ეროვნული მწერლობისა, რომელსაც ეროვნული გენია აძლევდა ძალას და თავისებურობას რათადენიმე საუკუნის განმავლობაში მიუხედავად ძლიერი სუსტო გავლენისა. რომის მწერლობამ ეს კულტურული რკალიც გატეხა, ისე მჭიდროდ შემოკრებული, და პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად იგი გვევლინება დიდად, შევნიერად, სიკოცხლით საესედ, წმიდა ეროვნულად და იმ დროის ბერძნული მწერლობის მჯობადაც. იგი იზრდება და პირველ საუკუნეში ქრ. შემდეგ უმაღლეს საფესურს ახწევს განვითარებისა და შემდეგ საუკუნოებშიც დიდი წარმომადგენელი ჰყავს. ამ ეპოქას (პირ. ს. ქრ. წ. — პირ. ს. ქრ. შ.) ეკუთვნიან პოეტები კატულუსი, ლირიკოსი, ლუკრეციუსი, პოეტი ფილოსოფოსი და მეცნიერი, მეორე საუკუნის (ქრ. წ.) კომედიათა მწერლის პლუტუსის შემდეგ, სატირიკოსი ლუცილიუსი, იურისტი და ფილოსოფოსი ციცერონი, ისტორიკოსი იულიუს კეისარი, შემდეგ ლივიუსი და ტაციტუსი, კულტურის ისტორიკოსი ტერენტიუს ვარრო, შემდეგ დიდი ვერგილიუსი, ავტორი დიდი ეპოსის ენეიდისა, შეუქმარებელი ავტორი ნეტამორფოზათა ივიდიუსი, დიდი პოეტი ჰორაციუსი; შემდეგ (მესამე ს. ქრ. შ.) შესანიშნავი იურისტები პაულუსი, ულპიანი, პაპინიანი, და სხვანი. ამი ენ იყვნენ უკვდავი შემქმენნი რომაელთა ეროვნული მწერლობისა, იტალიის სხვა და სხვა ადგილს დაბადებულნი, როდესაც ირი რომაელთა, ლათინური, ენით შეტყველი; უკვე იტალიის ერთად იყო გაზრდილი, გადიდებული. ზოგიერთი ამ მწერალთაგანი ძველი საბერძნეთის უდიდეს სიტყვის შემოქმედსაც დაეტოლებოდა, რადგანაც მაგ. ვერგილიუსი; რომელიც იმავე ჰექსამეტრით სწერდა, რადგანაც პომპროსი, მაგრამ მისი ენეიდა სრულიად განსხვავდება პომპროსის ეპოსთაგან: ენეიდა უკვე თითქმის რომანია, რომელიც ჩვენ გულს სხვაგვარად ესაუბრება, ვიდრე ოდისსეისა და ილიადა, რომელთაც იგი სიდიდით სრულად თუ ვერ ახწევს, ძლიერ უახლოვდება. — იულიუს კეისარის და ტაციტუსის ისტორიულნი თხზულებანი მათი მკაფიო, ნათელი ენით, მოკლე გამოთქმით ბევრ ბერძნულ ისტორიულ თხზულებას აღემატებინა ლი-



ტერატურულად, ხოლო ისეთნივე სახელნი არიან, რაგვარადაც ბერძნულნი. სამართლის მწერლობა რომაელებსა კი შეუდარებელი იყო, მსგავსი რამ სხვა ძველ ერთ არი მხეტქმნია, თუმცა რომაულ სამართალში უცხო ელემენტებიც მოიპოვება. და ეს იურიდიული მწერლობა, მთელი სამართალი რომისა, დღესაც ერთი უდიდესი საგანია სამართლის მეცნიერებისა, რაგვარადაც თვით რომის სამართალი, დიდი ნომარქსის მიერ შემოღებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მთელი კულტურული ევროპის მიერ იქმნა მიღებული და დღესაც ცოცხლობს მის ერთი სამართალში.

რომაელთა, ლათინთა საარწმუნოება, მსგავსი იყო სხვა ინდოევროპულ ტომთა საარწმუნოებებსა. მას ამიტომ ბერძენთა საარწმუნობასთანაც ჰქონდა ნათესაობა. აგრეთვე მას ისევე ჰქონდა მეზობლობითი განწყობილება ეტრუსკულ საარწმუნოებასთან, რაგვარადაც ბერძენთა საარწმუნოებას იგივე განწყობილება მათ მცირეზაზიელ ნეზობელთა საარწმუნოებებთან. მაგრამ ვერც ეტრუსკულმა „გავლენამ“ და ვერც ბერძენთა საარწმუნოებრივმა „ნათესაობამ“ შეუძლებელჰყო რომის საარწმუნოების თავისებურობა. რომის ღმერთები, ლათინთა ღმერთები და ქალი-ღმერთები იყვნენ, დასცველნი ერისა და სახელმწიფოსი, კაცთა და მისი სახლისა, ან და საშიშარნი და მტრულად განწყობილნი მათ შიშართ, რაგვარადაც სხვა ერთი ღმერთებანი, მაგრამ მაგ. ის საზიზღარნი ჩვეულებანი, რომელნიც თან-სდევდენ ეტრუსკულ კულტა, რომაელებს არ ჰქონდათ. და მიუხედავად იმისა რომ საბერძნეთთან მჭიდრო სიახლოვის გამო რომაელ ღმერთებთა სახელნი ბერძენთ ღმერთებთა სახელთ შეუთანასწორეს: იუპიტერ = ზევს, ნეპტუნ = პოსეიდონ, მარს = არეს, მინერვა = ათენე, ვენუს = აფროდიტე, იუნო = ჰერა, მერკურ = ჰერმეს, დიანა = არტემისი, და სხვ. და სხვ., ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ რომაელს და ბერძენს ერთი და იგივე წარმოდგენა ჰქონოდათ მათზედ, ან ერთი და იგივე განცდა მათ ღმერთებთან. რომაელისთვის ეს ღმერთები უფრო განყენებულნი განსახიერებანი იყვნენ კეთილის ან ბოროტის - მყოფელ ძალითა და ნაკლებად მჭონე აღამიანთა თვისებათა, ვიდრე ბერძენთა ღმერთები. ეს ცხადია ყოველი შემდარებლისათვის რომისა და საბერძნეთის საარწმუნოებათა. შემდეგაც, ყოველი ვარსებანაც შემოტანილი კულტი უცხო ღმერთებთა რომაელის მიერ ისე

იყო მიღებული, რაგვარნიც იყვნენ განსაზღვრული დროს მისნი სულიერნი განცდანი. რომაელთა ხელოვნება რესპუბლიკის დროისა უფრო ძველი ეტრუსკულია—და შემდეგ ბერძნულის მიხედვით იყო ვიდრე რომაული. ხელოვანი მოქმედნიც უმთავრესად ბერძენნი იყვნენ. მაგრამ რომის ეროვნული ხელოვნების შთანაჩენი უკვე ძველი დროითგან იყო. რესპუბლიკის ბოლო საუკუნოებში რომელი ხელოვანთა მიერ შექმნილ ქანდაკება-პორტრეტებს ორიგინალობის ბეჭედი ემჩნევა. ხოლო იმპერატორთა დროის ხელოვნება რომისა უკვე ეროვნულ დიდ ხელოვნებად იშვა ძველი დროის შთანაჩენისაგან: რომში, და მთელი იტალიისში აღიპართენ ხუროთ-მოძღვრების დიდი ძეგლები: ტაძრები ღმერთებთა, სასახლეები იმპერატორთა, ქანდაკებანი (მაგ. ავგუსტუსისა), და სვეტნი რელიეფებით (მაგ. ტრაიანისა), აბანოები (თერმები) მისი ცუმბათებით, სვეტებით, მხატვრობით დიდა დაარბაზებისა, წიგთ-საცავთა და გასართობთა განყოფილებებით, თეატრებით, ტრიუმფის თაღებით და სხვ. რომი იმ დროისა, უზარმაზარი სატახტო ქალაქი მაშინდელი მსოფლიო იმპერიისა, მართლ-საჩინოდ წარმოქმნიდა სახე-ხეობით, მისი კაპიტოლით, სადაც ტაძრები აღიპართებოდენ, მის ქვევით ფორუმით, რომელსაც უშენიერესნი ქანდაკებანი და სვეტნი განსაზღვრებდენ, მის გვერდით იმპერატორთა სასახლეებით და სხვ. და სხვ., და ყოველივე ესე უკვე არა ბერძნული, არამედ რომაული, ეროვნული სტილისა და იმპერიის სიდიდის შესაფერი დიდებულებისა იყო. აქაც ეროვნულმა გენიამ ის შექმნა, რაც მას ღნდა შექმნა, ვითარცა ეროვნულს, განსაკუთრებულს, და გამოაჩინა თვისი ძალა და სახე, ვასრღვია რა კედელი უახლოესი, მაგრამ უცხო კულტურის გარ-შემოჩუყმელობისა.

ხოლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნიჭი რომაელთა იმოდენად სჭარბობდა ბერძენთა ანუ ნიჭს, რომ აქ ვხვდებით უმეტესად ყოველსა მათ შორის განსხვავებას. ცხოვრების ამ დარგში რომაელებს ბერძენთაგან არა თუ დიდი არაფერი „მიუღიასთ“ და შეუთვისებიათ, მიუხედავად მათი ნათესაობისა და სიახლოვისა, არამედ აქ გვევლინებიან ერთი მხრით რომაელის სული, პოლიტიკურ სასწაულთა მოქმედი, და მეორე მხრით სული ბერძნისა, პოლიტიკურად ანარქიული, და თვით უუკულტურესი და უნიჭიერესი



ერისაგან ივერი შემქმნელი ირთი და ძლიერი პოლიტიკური ორგანიზმისა.

ძველმა ბერძნებმა განვლეს დრო მათი პოლიტიკური არსებობისა მათ მონარქიულ, დემოკრატიულ, არისტოკრატიულ, ოლიგარქიულ, ტირანიულ მცირე სახელმწიფოთა ურთი - ერთს შორის ბრძოლით, ბერძენთა ომით ბერძენთა წინააღმდეგ, ურთი - ერთის ამოხოცვით. კავშირებიც მათი „სახელმწიფოთა“ მიმართული იყო არა მარტო ფარეშე მტრისა, არამედ აგრეთვე ურთი - ერთის წინააღმდეგ. ერთი ერთნაირი სახელმწიფო ჰქოლადისა ვეროდეს შექმნა. და თვით გაბერძენებული უცხოელის, დადი მკედონელის იმპერიაც, რომელიც ეგრეთვე შეცავდა „გაერთიანებულ“ საბერძენთს, მისი სიკვდილის შემდეგ დაადოხებმა დაანაწილეს და შემდეგ საბერძენთი რომის პროვინციად გადაქცა.

ხოლო რომიდან, რომელიც პირველად აგრეთვე ქალაქის სახელმწიფო იყო, მცირე, მცირე ზომის მიდამოებით, ისეთი უზნარ - მაზნარი ენერჯია გამოვიდა, რომლის ოდენი ძლიერ ძვირად გამოუღია რომელიმე ერთ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი იყო განსაზღვრებული იტალიის ტომთა და მომსწესრიგებელი მათი პოლიტიკური ცხოვრებისა. და იგი არ დაშრეტოლა მთელი ერთი ათასეულის განმავლობაში და ამოიწურა მხოლოდ მისი, როდესაც ამ ენერჯიის მქონე რომელიც აღარ არსებობდა და რომის იმპერიაში სხვა მოდგმისა და სისხლის და სულის ადამიანები სჭარბობდნენ. რომმა თავითგანვე ადრე მოიცილა შემოჭრილ ეტრუსკთა ბატონობა, განდევნა მათი მეფეები და გაართმეულა დაშთენილი არისტოკრატია; მან გადაიქანა ყოველნაირი ეკონომიური და სოციალური კრიზისი, სძლია იტალიის ტომთა მეტოქეობას და განდგომას, შექმნა იტალიის ერთი, უზრუნველ - ჰყო იგი სამზრეთითგან კართაგოს შემოსევათგან, დაიპყრა საბერძენთი იტალიისა და სიცილიისა, განდევნა კართაგო სიცილიითგან და შემდეგ დაიპყრა იგი, დაიპყრა საბერძენთი და მაკედონისა, დაიპყრა და აღაესო კოლონისტებით იტალიითგან ისპანია და გალია, დაიპყრა ბრიტანეთი, განაგრძელა თვისი ბატონობა ახლო აღმოსავლეთზედ სპარსეთამდე და აფრიკის ჩრდილოეთი ნაპირებზედ ჯერ კიდევ რესპუბლიკის დროს, ხოლო იმპერატორთა დროს, რომელიც ნახევარ ათასეულს გაგრძელდა, იგი იყო უდიდესი იმპერია მაშინდელი ევროპა - წინა - აზია - აფრიკისა მისი მაღალი კულ-

ტურით, მტკიცე ხელით მმართველობისა, მისი ძვირად ძლეული ლეგიონებით, ვხებით და სხვ. და სხვ.. — ხოლო თუ რაგვარი იყო რომის ბატონობა ბევრგან, მიუხედავად მისი კულტურისა, ეს სხვა საკითხია, არც ისე სასიამოვნო განსახილველად...

რომის კულტურა მეორე დიდი კულტურა იყო ევროპისა. მონათესავე ბერძენლისა იგი ამასთან ერთად ტყუპს წარმოადგენს, და ამიტომ ვუწოდებთ ანტიური ცივილიზაციას ბერძენულ - რომაულს.

რომი თუ წინათ „მიმღები“ იყო, იგი თვისი სიძლიერის დროს, თვით შემქმნელი დიდი კულტურისა, „მიმცემად“ გახდა, და თვისი ბერძენთაც მან მისცა უცუთესი რამ, — მისი სამართალი და წესები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, რომლის მსგავსი ძველ ბერძენთა არ ჰქონიათ. და დასავლეთ ევროპაში თუ რა შედეგები მოჰყვა მისს ბატონობას და კოლონიზაციას, ცნობილია, ხოლო ჩვენი თავათა - ხედვით შემდეგ განსახილველი.

ბერძენ - რომაელთაგან „გარდამოცემული“ დღესაც მრავალი სჩანს ევროპის კულტურულ ცხოვრებაში, დღესაც ვსაჩვენებლობით მით, გვიყვარს იგი, ვსწავლობთ მას. ჰომეროსი და ვერგილიუსი, პლატონი და ციცერონი დღესაც დაუძველებელი არიან ჩვენთვის. რომის სამართალი მარტო უნივერსიტეტთა მეცნიერება არ არის, არამედ იგი კიდევ ცოცხალისა და მოქმედი ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხოლო როდესაც რომელნიმე იტყვიან, — ჩვენ დღესაც ბერძენულ-რომაული კულტურით „ვსაზრდობთ“, ეს სჩელი სიმართლე არ არის: ძვირფასს ვარდამონაცემს არ ვივიწყებთ, ხოლო „ვსაზრდობთ“ უმთავრესად სხვა კულტურით, სხვა ადამიანთა შექმნილით, ვიდრე იყვნენ ბერძენი და რომელი.

მიხეილ წერეთელი

ზანიზვაზი „3. ტ.“-ის ტექსტისათვის

1. „მიძღვნას“ მესამე სტროფის მეოთხე ტაეპი ჩვენ აღვადგინეთ: „ჩემსა ხელმწიფელსა შევმართო, ლალსა მას, ლამაზმანები (!)“. — აღვკენა შესაძლებელია, რათგანაც ტაეპს და მთელ სტროფს აზრი ეძლევა, ხოლო დამაკმაყოფილებელი არ იყო ჩემთვის: რად უნდა ჩვენებოდა რუსთველს „ლამაზმანების“ მიძღვნა მეფისათ-



ვის „საკოჭმანო საქმედ“? — ეს საკითხი ადვილად გადაწყდებდა, თუ სხვაგვარად აღვადგენთ ამ ტაბლას, რომელიც წარხორცილი ყოფილა და გადამწერთაგან უაზროდ აღვადგენილი (იხ. აბ.). ჩემთვის უფრო მისაღები აღვადგენა შემდეგნაირად შეიძლება: „ჩემსა ხელმჩქნელსა წმენდართო, ლაღსა მას, კვლა(ც) აზმანები“(!). ახლა ცხადია მიზეზი რუხათველის კოჭმანისა: „კიდე შევაწუხო ქებათ“ მიძღვნით ამაყი ხელმწიფეო?! წინათ ხომ უძღვნა მას „ისტორიანნი და აზმანნი“! — „აზმანები“ ორი მრავლობითი რიცხვის ნიშნით არის ნაწარმოები ბერძნული სიტყვითგან აზმა („ქება“): აზმ-ან-ებ-ი, რაგვარადც მზგ. და-ნ-ები, ძმ-ან-ები, დაბ-ნ-ები (<* დაბ-ან-ები) და სხვ. ყურად-საღებია, რომ არსებობდა ქართული ზმნა აზმ-ნ-ობა=„ქება“, ნაწარმოები მრავლ. რიცხვის აზმ(ა)ნ-ისაგან: ანა დედ. ეარ.-ში ქ. ც-ისა (ყაუხრ. გამოცემა, გვ. 229) ვკითხულობთ: შემოკრბენ ოდესმე წინაშე მეფისა (დავითისა) სომეხთა ებისკოპოზნი და სხვ., „რომელნი აზმნობდეს თათთა თვისთა მიწყენად თათსა ყოვლისა სწავლულუბისა და მეცნიერებისასა“—ო (ე. ი. იქებდენ თათს, რომ მიხწეულ იყვნენ სათავეს ყოვლისა სწავლისა და მეცნიერებისა).—ასეთი აღვადგენა „მიძღვნის“ მესამე სტროფის მეოთხე ტაბლისა შესაძლებელ ჰყოფს აგრეთვე უფრო სწორი აღვადგენა „დასასრულის“ მეორე სტროფის მეორე ტაბლისა: „ესე ამბავი გავუქესე მე მათად სააზმანებლად, ე. ი. „საქებლად“ (არა „საკამათებლად“, ე. ი. „საცილოდ“, „შესადარებლად“, ან და „საკუმარებლად“, იხე. სხივთა „თინათნებუად“!), რაგვარადც აღვადგენენ ნ. მარჩი და პ. ინგაროყვა. ამ ჩვენ აღვადგენათა მიღებით („აზმანები“, „სააზმანებლად“) უფრო ნათელი ხდება აზრი რაგვარადც მიძღვნის, ისე დასასრულის მთელ სტროფთა.

2. აბ. 525 სტროფის მესამე ტაბლისათვის ჩვენ ვაჩიჩეთ ვარიანტი: „ქვითა დავლენით წვიგები, ჩვენ იგი გავიანტენით“, ე. ი. „მიზანში ამოვიღეთ“ (ბერძნული ანტა—თვან ნაწარმოები ზმნა „გავანტება“). მავრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ, თუ „იგი“ გულისხმობს „წვიგებს“ (კედლებს). ხოლო თუ ავიჩივთ მეორე ვარიანტს: „ჩვენ იგი გავანატენით“, რითმა ირღვევა (- ანტენით, - ანტენით, - ნატენით, - ანტენით), მავრამ სამაგიეროდ „იგი“ იგულისხმებს მაშინ არა „წვიგებს“, არამედ „ქალაქს“ (ტაბები მეორე: „ფიცხლად წავუღეთ ქალაქი“), და მივიღებთ აზრს: „ჩვენ იგი (ე. ი. ქალაქი) გავატყავთ,

რაცა ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ეს ნიშნავს ან „ქალაქის კედელთა აღდარცვას“, ქალაქის „გაშიშვლებას“, ან და „ქალაქის გაძარცვას“, „აკლებას“=„გატყავებას“. შეიძლება მეორე მნიშვნელობა უფრო მისაღები იყოს, რათვანაც მეოთხე ტაბები გვეუბნება: „მომაკალით, ლარი დალით ან აკიდებით ან ტენით“—ო. ამას გარდა მარ. დედ. ქ. ც-ის ვარიანტში (თაყ. გამოცემა, გვ. 405) ჩვენ ვკითხულობთ: „ვინათგან მათგან დაძრცვილნი და ჟნატოდ გაძეულნი ვართ“, და სხვ., ე. ი. მათგან ვართ გაძარცვულნი და ტყავ-გამძრცვალნი გაძევებულნი“—ო (ჩივიან თამარის ღროსა უცმაყოფილო დიდ-გვარიანნი). და ახალი-ქართულადაც „გავატყავება“ ხომ გაძარცვასაც ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, არჩევანი აჩვენებს ადვილია. მე კი მაინც ივიჩევ ვარიანტს „გავიანტენით“. რითმაც არ ირღვევა და რუხათველს ამით სამხედრო მოქმედების აღნიშნვა უნდა სდომოდეს, — კედელთა დაღწისა მანქანათაგან ქვითა სროლით, მათი მიზანში ამოღებით.

მის. წერეთელი

პროფ. მის. ვერეთელის ვარიანტი
 «Revue d'Assyriologie»-ში

პროფ. მ. წერეთელმა მეორედი გამოსცა ასსიოლოგიური ჟურნალში (ტ. 47, 1953), ურარტული, ლურსმული ტექსტი ე. წ. კელიშინის სტელიისა, რომელიც დაწერილია ურარტულად და ნათარგმნი ასსურულად. პირველი გამოცემა მისივე იყო იმავე ჟურნალში ტ. 30-ში (1933). ხოლო მეორე ურარტულ-ასსურული ტექსტი ე. წ. ტოპცავას სტელისა მან დაბეჭდა ტ. 44-ში (1950) და 45-ში (1951). პირველი ტექსტი მ. წერეთელმა უკანასკნელად და საბოლოოდ აღადგინა, ხოლო მეორის წაკითხვაც და საღებით აღვადგენაც პირველად მან სცადა. ამ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა მით აქვს, რომ ეს ირად-ორი ურარტული წარწერა მოიპოვება ასსურული თარგმნით, რომელიც გვამცნებს ნამდვილ მნიშვნელობას ურარტულ სიტყვათა და ურარტულ გრამმატიულ ფორმათა სწორ გაცებას. ხოლო აქედანვე საბოლოოდ ირკვევა, რომ ურარტულს, ვარდა რადენიმე გრამმატიული ფორმისა და სიტყვისა, რომლებიც შეიძლება უნათესავო ენათაც საერთო ჰქონდეს, არავითარ არსებითი მსგავსება არ აქვს ქართულთან, — წინააღმდეგმ ძველ მკვლევართა აზრისა.

და ღ ი და ღ ი ა ნ ა

და ღ ი

(სონეტი)

(სტანუტ, მითოლოგიიდან. პირველი: ხელოვანის თვალთ ხილული და ნაკვეთი გრ. რობაქიძის მიერ.)

გრადალის კოშკი კლდის ქიმეზე ზანზარებს ქარში.

მყუდრო დაბრახში გაშვებართულა მდინარე დალი.

დარაჯად კართან: შუბით ხელში დგას პარსიფალი.

ცხრა თვალა დევის მდომე გორდა გამტყუდარა ტარში.

თითქოს უღიმის ნეტარებას იუცხო სიზმარში.

ვედის ფერ კისქის მოხვევია ოქროს დალალი, გრიგოლის ძღვენი: საფირონი, ხვითო და

ლალი — მწიფე მტევნები — ჩაწყობილი აღმასის ძარში.

ძველი თქმულების სურნელება იწვევა კვარში და ბნელ პალატებს ჰვენს სინათლეს მისი

პარპალი. თხა ფენა პანი, გადაკრული ცეკვავს მარანში.

და ძველი კოშკი კლდის კიდეზე ინჯრევა ქარში. ნალეს მაკრატლით იკვეცება ოქროს დალალი.

შედისან ნისლში მზე - ჭაბუკი და ამორძალი.

ღ ი ა ნ ა

(დიანა იგივე არტემის, ბერძულ მითოლოგიიდან)

ზის აქტეონი ტყის წყაროსთან — შქერის სურჩებში

და ჰერეტს ფარულად, — მოხანავე, ტიტველ დიანას.

ფიქალის ტანმა მყუდრო სისხლი მსა აუჩქევა. ქალღმერთის შუქმა ტყის სიმწვანე გაამზინა.

მაგრამ დიანას იარაღს სხარებს მწყერა, ქურდული, და სოველ ტანზე ჩამოჰყარა თმების ჭვერები.

აღმართა თვალნი; გაბასრულნი ვით სატყვერები და დამალულ ყრმას მიიხალა, როგორც

შურდული.

და ქალის გული განრისხების ფიფქა დათოვა; შურისძიების შემოფელო ბაგეებს სირმა.

მოაჯადოვა აქტეონი რქა აყრილ ირმად და მიუსია საკუთარი ძაღლების ხროვა.

ეხლა დიანა თვითონ იმზერს ირმის წვლებას, სისხლის ლაშებს ილიოყვენ ავი მწევრები,

და იდას მთების დაბურვილი მუქი ტევრები მოსთქვამენ ქარში აქტეონის გარდაცვალებას.

გიორგი გამყრელიძე

დალლას. 1953 წ.

ჰ უ თ ა ი ს ი

მე დამავიწყდა მზით ნათელი ჩემი ქვეყანა, ბურთის ბრუნება წყლის ტალღებზე გულის

თამაში, ამაყი მთები, თეთრი ცხვრები და მწვანე ყანა, ყვავილთა ბაღში თმა ხუჭუჭა პატარა ბავში.

მე დამავიწყდა ქუთაისის ცელქი მასის, ბაგრატიონის ტაძარიდან განცხრომით ხედვა,

რისკის ქუჩები ყვავილების ჯარით ავსილი, და თოფურის ჩქერებიდან რიონის ღელვა.

მე დამავიწყდა სასწავლებლის თეთრი კედლები, დიდი ოცხელი გულმოდგინე მშობლიურ ხმაზე,

წულიესკირის ჯაფარიძე და სხვა რამდენი, მუდმივი ფიქრით თავ დახრილი სიმონ ხუნდაძე.

მე დამავიწყდა წითელი, თეთრი და ჯაჭვის ხიდი,

თუ როგორ სხვე იღიმოდა ტალღათა ტყლაში ზაფხულის მზეზე, მზით დამწვარი მხრებ

გარუჯული, რიონის პირზე გაწოლილი პატარა ბავში.

მე დამავიწყდა თეთრი გზები ლეჩხუმის გზისკენ.

წყარო კიბულა, კლდის მწვერვალი გლეხის ნახტომი,

ლამის არღანი ღვინის ღელვა და ალავიძე, ბახუსის ბინა ვარდის ფერი ლოცვით ნადგომი.



მე დამაფიქვდა მოწაშეთა წმინდანის გზებით,
 მატარებელი თავს რომ უხვევს დაგრეხილ
 კლდეებს,
 შემდეგ გელათი ხელოვნების ძველი ხელადით,
 ამხურებს მიკროს წყალ წითელა სისხლიან
 რიონს.

ვინ შემითვისოს...! ვინ მიმილოს...! ვინ
 მანუგემოს...!

პაროზის ქუჩებს ფეხით ვთელავ ყვითელი
 მკვდარი,

სადა ჰყავს დედის ქარში დამწვარ გაყინულ
 ნემოს,

სიცოცხლის სხივებს ერეკება ცივი ხანთარი.

და სადღაც მთვრალი სენის პირზე გამეღვიძება,
 ქალი მძეავე რკინის თმქმით დედობას მიჩენს,
 ნიჩბებს არხევენ ცეცხლიანი ქვეყნის ტალღები
 ცივი ბრალდებით მივაბიჯებ გადაჭრილ
 მუხლებს.

გზა, რომ შეუხვევს, ხალხი ხარობს, ხალხი
 იცინის,

მე და ისინი შორი - შორს ვართ როგორც
 უცხონი,

დღიური ბრძოლით დრო მძულვებს ბედის
 ძიებას,

ყველაშთვის უცნობს თვით მკვლევლობაც
 მებატიება.

გ. ყიფანი

ც ლ ტ ა რ ა მ ც ხ ო ვ ე ლ ე ზ ე ე

I. მამლის ყვილზე..

... ფრინველთაგან კი ყველაზე უფრო ცნობილი და სახელმწიფოებრილია: არწივი და მამალი.

უძველეს ხალხთა ცხოვრებაში—დღემდე არა მცირე როლი უთამაშებდა ამ ორ ფრინველს. ზღაპრებში, იგავებში, ანდაზებში, მითოლოგიაში და როგორც სიმბოლოდ სახელმწიფო ემბლემათა გამოსახვაში.

მამალს ძველად „ქათამს“ ეძახდნენ და არ ჰქონდა მას სპეციფიური „მამრობითი სქესის“ გამომხატველი სახელი.

„და მოხსენა პეტრეს სიტყვაი იგი, რომელ ჰრქუა მას იესო, ვითარმედ: პირველ ქათმისა ხმობამდე, სამ გზის უარ მყოფი მე, და იწყით ტირილად“. სახარ. მარკოზისა.

და ყოველთვის ღამით, როდესაც მიძინებულ მყუდრო არე-მარეში მომესმის მამლის ყვილი, ძალაუქნებურად, თითქოს ავტომატიურად, ის მიწყვეტს ყველა მიმდინარე ფიქრებს და მაგონდება პირველ ყოვლისა: პეტრე მოციქულის ტირილი... წარმოვიდგენ მას, მამლის ყვილით გამოფხიზლებულს, როგორ ევსება თვალები ცრემლით, და სახეზე მწარე სინანული ეხატება... და ეს ფსიქოლოგიურად შენაძრწუნებელი სინამდვილე მოხდა ორი ათასი წლის წინად, მღვდელმთავარ კაიავას ეზოში: იერუსალიმში.

მაგრამ 380 თუ 390 წლის წინად ამ ამბისა, ათინაში საწამლავეთ სავესე ფიალის გამოცლის

შემდეგ, დიდი სოკრატე ეუბნება ერთ თავის მოწაფეთაგანს — „არ დაგაფიქვდეს, რომ ესკულაპს შესწირო მამალი“.

თუ ეს ორი ამბავი, ორი უძველესი და უუკულტურეს ქალაქებში მომხდარ, ორი დიდ პიროვნებათა ირგვლივ მამალთან დაკავშირებით გადმოცემულია ასე მოკლედ, ლაკონიურად, მხარამ აღსავსე, საკაცობრიო ტრალიზმით, სამაგიეროდ მესამე ამბავს, მომხდარს ჩვენ ეპოქაში, არ აკლია კომიზმი და ბედის იჩიონია.

უდიდეს გერმანელ მოაზრეს და ფილოსოფოსს ემანუელ კანტს, (დაიბადა 1724 წ., გარდაიცვალა 1804 კონიგსბერგში) რომელმაც თავის უკვდავ შრომებში ანალიზი გაუკეთა და მიაგრო კანონებს და შესაძლებლობის საზღვრებს: ადამიანის გონიერებისას, ზნეობის და მოვალეობის საფუძვლებზე დაყრდნობით, აი ამ დიდ კანტს ამ 150 წ. წინად ქალაქ კონიგსბერგში (დღეს გააზიურებული და გაკალინგრადებული) ისე აწუხებდა ღამით მუშაობის დროს მეზობლის უკმეხ მამალი თავისი „გამყოფარი“ ხმით, რომ მას აღარ შეეძლო თითქმის ერთ ახრს გაჰყოლოდა ბოლომდე. ამიტომ დაუძახა თავის მოსამსახურეს — ლამპეს და დაავალა: „იყიდე ის მამალი და შეწვი“-ო.

მაგრამ მამლის პატრონი მამალზე ჯიუტი გამოდგა და არავითარ ფასზე მამლის გაყიდვას არ დათანხმდა. ასე რომ, მეცნიერი იძულებული

იყო ესმინა მამლის ყვილი, რომელიც მას წინანდელზე მეტად ახელდა.

როდესაც მოთმინება დაკარგა კანტმა, კიდევ ერთხელ სცადა მან, კიდევ ერთხელ დაუძახა ლამპეს და ახლა კი თავისი „კატეგორიული იმპერატივი“—თუ უბრძანა: „არ დაბრუნდებ უმამლოთ!“ ახლა საქმე მოეწყო და მსახურმა მამალი მოიყვანა.

გახარებულმა მეცნიერმა მეორე დღეს მეგობრები მიიწვია „შემწვარი მამალიზე“. რამოდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი სტუმართაგანი ხვდება კანტს სტერნობის დროს და ეკითხება: — „კი მაგრამ, როგორ არის ახლა ეს, რომ ჩვენ ერთი მხრივ „ის“ მამალი შეეწვიით და შეეცამეთ და ამავე დროს კი მთელი ღამე თავდაფიწყებით ყვიის?“—ო.

ლამპეს დაუძახეს და ჰკითხეს და მანაც წარმოსთქვა აღსარება: ენაითგან პატრონი არ დათანხმდა მამლის გაყიდვას, მან, ლამპემ, იყიდა სხვა მამალი და შეწვა. ის იცნობდა თავის პატონს „ზეფს“ კარგად; მამლის შეწვა და მირთმევა ფილოსოფოსისათვის იყო ფაქტი მამლის აღარ არსებობისა და ამიტომ — მისი ყვილიც აღარ ესმოდა.

ამ ტყუილმა ლამპეს დააკარგვინა სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ კანტი მეტად შეჩვეული იყო მასზე. პატარა შავ ფიცარზე ყოველ საღამოს ძილის წინ ფილოსოფოსი სწერდა ცარციოთ: „დაიფიყე ლამპე, ნუ მიაქცევ ყურადღებას მამლის ყვილს“—ო. მიუხედავად მისი არა ჩვეულებრივი ნებისყოფისა, ვერც ლამპე დაიფიყა მან და ვერც მამლის ყვილი, და „კანტის სიკვდილის შემდეგ, ეს ცარციოთ ნაწერი ფიცარიც მიიღეს ფილოსოფოსის მემკვიდრეებმა სხვა ქონებასთან ერთად“. (იულიუს ვიტუს მეტტე იმ. კანტის 150 წლის თავზე).

სოკრატეც, პეტრე მოციქულიც და კანტიც იყვნენ, არის და დარჩებიან სამარადისო ქვაკუთხედად: კულტურის, რწმენის, ზნეობის და გონიერების — პროგრესიული კაცობრიობისათვის: ათინა და იერუსალიმი, როგორც სამაყო საჩვენებელი ნაშთი ყველა დროის მემკვიდრეთათვის. რამდენი რბევა და ცარცივა არ გახუცდიათ ამ ქალაქებს, მაგრამ მათი დიდება მაინც გადაარჩა, რათგან სული ცოცხლად შეინახა იქ მოღვაწე დიდ პიროვნებათა სახელით.

კონიგსბერგი კი ჩულებს ისე წაბიწვის,

რომ მისი აღდგენა, გერმანიის ნაწილადაც რომ ისევ იქცეს, მაინც აღარ შეიძლება ძველი მნიშვნელობით და სახით. ასეთი „სასახელი საქმე“ დაახლოებით 480 წლის წინად ჩაიდინეს ოსმალებმა, როცა იმპერატორ კონსტანტინეს გმირული დაღუპვის შემდეგ კონსტანტინობოლი აიღეს და ბიზანტია, ჰელენური კულტურის მემკვიდრე, გადაეღუწა. შეენიერა აისაოფია მეჩეთად აქციეს და „კინის ფარდის“ მაგიერ, ბნელოეთის ფარდები ჩამოეშვეს ბიზანტიის ტერიტორიაზე. კონსტანტინობოლს „ისტამბული“ დაარქვეს ისე, როგორც კონიგსბერგს რუსი „მუჟიკის“ კალინინის სახელი.

მაგრამ ოსმალებმაც და სხვა დამპყრობელებმაც მეტი ტოლერანცი გამოიჩინეს დამარცხებულთა მიმართ, ვიდრე ბოლშევიკებმა. მართლაც, თუ ბოლშევიკებს არ მოსწონდათ პოლიტიკურად ამ ქალაქის სახელი (კონიგსბერგი—მეფის მთა-ქალაქი), რატომ, მაგალითად, სხვა სახელი არ დაარქვეს („კანტმუტატი“ დარქმევა არ შეეძლოთ, ენაითგან ყოველგვარი ყალბბანდობის მცოდნე ბოლშევიკები კანტს, როგორც იდეალისტური ფილოსოფიის დამარსებელს და მატერიალისტური დიალექტიკის მოწინააღმდეგეს, ეერაფრით თავისით მომხრედ ვერ გამოაცხადებდნენ), მაგრამ ხომ შეეძლოთ დაერქვათ მარქსის, ენგელსის ან ტელმანის სახელი! ან კიდევ სხვა უფრო დიდი და გამოჩენილი, საკაცობრიოდ ცნობილი გერმანიის სახელი? მათთვის ეს ხომ ადვილი საქმე იყო, ყველა დიდ მიცვალებულთა ბოლშევიკად ან მათ მეგობრად გამოცხადება?!

ამას წინად აღმოსავლეთ გერმანიაში დიდი ამბით გადაიხადეს 400 წლის იუბილე ერთ-ერთი დიდი ძველი გერმანელი მხატვრისა, ლუკას ფონ კრანახის (მხატვარი, რომელიც ხატავდა ღრმა რელიგიური მისტიციზმით შეპყრობილი ბიბლიდან და სახარებიდან. უფრო ცნობილი მისი სურათები: „ჯვარცმა“ ვაიმარის ეკლესიაში; „სამსონი და დალილა“—გალერია აუგსტურგის; „ადამ და ევა“ და სხვა). ამერიკული გაზეთების ცნობით მისი გვარი „კრანახ“ გადააქეთეს „გრანახავ“—ად, ხოლო ზემზე მოწვეულმა უბრალო რუსის მოხელეებმა და ჯარისკაცებმა არ მოიწონეს თუ ვერ გამოთქვეს „გრანახავი“ და თავის მხრივ კიდევ „ტოვარიში“ კრანახოვ“—ად გადააქეთეს.

უბედურო ლუკას ფონ კრანახს!..

306 ა რ ი ს მ ა რ თ ა ლ ი ?

როცა ასი წლის წინათ დიდი ქართველოლოგი ი. ბროიასე ქართლის ცხოვრებას ფრანგულად აქვეყნებდა, მას იმ გვარი შესავალი მისცა (მამინდელი პარობებში სხვა ფერი არც შეიძლება), რომ მის წაკითხვისას ქრთმა გერმანელმა ორიენტალისტმა, ფგონეჟი ჰ. ცელცერი იყო, განაცხადა: საქართველოს ისტორიული ძეგლები სანდო ცნობებს იძლევა მხოლოდ მეცხრე საუკუნეთაგან. რაც მის წინააღმდეგ იცუთვნის, საეკლეზია და ბუნდოვანია, ამიტომ გამოუყენებელია. იგივე აზრი გაიმეორა ფრანგმა მეცნიერმა ცოტენბერგმა „სიბრძნე ბალავარის“ თაობაზე. ქართველ მწერლობას მეთავე საუკუნეში მიეცა დასაბამიო. ეხლა ხანს ცოტენბერგს კვერი დაუკრა გერმანელმა ბიზანტინისტმა ფრანც დუფელგერმა, რომელმაც კატეგორიულად უარპყო ექვთიმე მთაწმინდელის ყოველივე კავშირი ბალავარის სიბრძნის ბერძნულ თარგმანთან (ამაზე ვრცლად მომდევნო ნომერში).

ყველა ეს გამოწვეულია, რა თქმა უნდა, ქართული ისტორიული ძეგლების უცოდინარობით და მის შედეგად მათი სრული უგულებელყოფით. ეინ რა უწყის, რომ ერთი ერის ისტორიის უყურადღებოდ მიტოვება, მისი მივიწყება და თითქოს არ არსებულად აღიარება, თავად ამ ერის მივიწყებას და უკუღებულ ყოფას შეეცოლებს! თუ ესაურო, აი აქ მარხია ერთერთი მიზეზი იმ საეალალო მოვლენისა, რაც კარგი ხანია ჩვენი ჩივილის საგნად არის ქცეული: დიდი ქრები არ იცვლობენ, არ გვაფასებენ, ანგარიშს არ იციწვევენო. მერე ვისი ბრალია? არა უფრო ჩვენი, ვიდრე სხვისი, ოდეს ჩვენ თვითონვე ბანიდან ვაცხადებთ: ჩვენი უძველესი ისტორიული ძეგლები მეთავე საუკუნეს არ გადასცილდებიან და მის უადრესი ნამდვილი ისტორიული ნაწარმოები არ გვაბადიაო?-

ამის მსმენელი უცხოელი განა სანართლიანად არ იათსაზრებს: ამ ერმა უკვე პირველ საუკუნესვე შედგა ფეხი ქრისტიანულ კულტურაში, მას იმ თავითვე გარს ეხვია მაღალი კულტურის მატარებელი ქრები, და ამისდა მიუხედავად მან თავისი თავი და თავისი წარსული მარტო მეთავე-მეთერთმეტე საუკ. გაიხსენა და მის ეინობას მხოლოდ ამ დროს მიაპყრო საკუთარ ღირებულებათა შემფასებელი, გამმინჯველი ისტორიული თვლილი!

დიდი ბოლღანდისტის პველე პეტერსის გონებაც უწყვეტლოვ ამ საჭირბოროტო საკითხს დასტრიალებდა თავს. მხოლოდ სიკვდილის წინა წამებში მიაგნო მან ქართული კულტურის ნამდვილ ეთარებას და მთლიანად გადაფასა მანამდე მის ნაწერთა და აზროვნებაში გამტკიცებული რწმენა: მან ჩვენი მწიგნობრობის სათავე ჩანოაშორა სომხურს, როგორც ამაზე უძველესი მოვლენა და დაუკავშირა უფრო აღრინდელ განათლებას: სირიულს. პეტერსის საბოლოო განცდა იყო: ქართველებმა სომხებისაგან კი არა, ასურებისაგან ისწავლეს წერსაკითხვაო, სომხური ანბანის აღმოჩენაზე უფრო აღრე*). პეტერსის აზროვნებაში დიდ შედეგიან მოვლენას ანახავს ეს ცადატება, ეინათვან მისი მხეგარძელობის უკანასკნელ წლამდის, ისიც სომხურს ხალოდა ქართული მწიგნობრობის სათავედ და წყაროდ.

ვიმედოვნებთ, რომ პეტერსის წონა და მაგალითი როგორმე დასძლევს ზოგიერთის გონებით-მძიმობას და მას თვალს აუხეღს ქართული კულტურის და ლიტ. ნამდვილ საგანძურზე.

* P. Peeters, Orient et Byzance. Le tréfonds Oriental de l'hagiographie byzantine, Bruxelles, 1950, p. 198.

კიდევ მაღლობა ღმერთს, რომ შენი გვარი ლტკა მუდიშჩევად არ გადააქციეს, ან კიდევ „სტახანოვად“.

ნეტავ კონენგსბერგში მამლები თუ ისევ ყივიან? თუ რუსებმა მათაც „ლიკვიდაცია“ გაუკეთეს, როგორც ამ ქალაქის მკვიდრო, და „ფაშისტებად“ გამოაცხადეს?!

ყოველ შემთხვევაში, თუ კიდევ იქ მამლები

დაჩრენ და ყივიან უთუოდ, არ შეგვიმინდეს! „წმიდა გონების“ ფილოსოფოსთ ისინი ნერვებს აღარ აუშლიან. შეიძლება ძილი დაუფროთონ ნამთვრალევე ვანკას... წამოდება თვალების ფშვენტიო, დახედავს ნაძარცვ საათს და იტყვის: „პროსაულ, ჩორტ ტებია ვაწჩი!“ და მერე დაანატებს: — „ნო, ნიჩეო“-ო.

(გაგრძელება შემდეგ)

გორგი გამყრელიძე

ამავე მიზანს ისახავს ქვემოთ წამოყენებული სა-
განი, რომელიც ეხება ქართული მატრიანის ცნო-
ბებს ირაკლი იმბერატორის ლაშქრობაზე აღმო-
სავლეთში (მეშვიდე საუკუნეში).

ივ. ჯავახიშვილის წიგნში „ისტორია ქართვე-
ლი ერისა“ (ტ. I, თბილისი 1928, გვ. 241-248,
თავი მე-39), შემდეგია მოთხრობილი: სპარსე-
თის შაჰის, ხოსრო მეორის ნაფარდობას ბიზან-
ტიის ქვეყნებში ბოლო მოუღო ერეკლე კეისარ-
მა. მტრის დასამხობად მან გაუღო სამეგრელო
და გადავიდა ქართლში. შემდეგლად მოიწვია ხა-
შასრთა მეთაური ხაკანი, ვისაც „მოქცევა ქარ-
თლისაჲ“ ჯიბლუს უწოდებს. რაკი თბილისი არ
დანებდა, იმბერატორმა ქალაქს ალყა შემოარ-
ტყა. ამის თაობაზე ქართლის მოქცევა გადმო-
ქცევს:

„მაშინ ჩამოვილო ჰერაკლე მეფემან ბერძენ-
თამან და კხსო კიხისთავმან კალაჲთ ტფილისი-
საჲთ მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით... და მე-
ფემან თქუა... მე მიგავთო მისაგებელი შენი და
დაუტყვა ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად და თვით
წარვიდა ბაბილოვნად ბრძოლად ხუთასრო მეფი-
სა. ხოლო ამა ჯიბლუ მცირეთა დღეთა შემდგო-
მად კალაჲ გამოიღო და კიხისთავი იგი შეიპ-
ყრა... და მრთელსა ტყავი ვაჰხადა და მეფესა
უყანა მისწერა ვარდაბანს“.

სომეხ ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს და-
წვრილებით აქვს აღწერილი ქრეკლეს მოკავში-
რეს მიერ თბილისის აღება. მისი ცნობით, ხაკა-
ნი გადმოვიდა 1.000 მხედრით და შეიღოთ შა-
თითურთ 627 წელს. ერეკლე და ხაკანი ორი
თვე ეომენ ვარშემოდგომილ ქალაქს, მაგრამ
ვერ აიღეს. ამიტომ მოკავშირეებმა გადასწყვი-
ტეს სპარსეთში გაელაშქრათ და თბილისის და-
სჯა შემდეგისათვის გადაედოთ. ეს რომ მოქალა-
ქებმა შეიტყვეს, ორივე მოკავშირეს ლანძღვა-
გინება და დაცინვა დაუწყეს. ისინი მუქარით
წავიდნენო.

„თბილისზე ჯავრი ჯიბლუს შეიღმა მათიმ
ამოიყარა“. ქალაქს კვლავ შემოადგა, აიღო ის
ორი თვის ბრძოლის შემდეგ და თბილისელები
სულელთიან ამოწყვიტაო. იქვე შეიპყრეს ორი
მთავარი, ერთი ქართველი და ერთი სპარსი.
„ორივე ტყვე კეისარ მიჰვარეს, რომელმაც
ჯერ თვალები დაათხრეინა, ხოლო შემდეგ ჩა-
მოახრჩობინა, ტყავი გააძრობინა, ბალახით გა-

ატენინა და ზღუდის კედელზე ჩამოაკიდები-
ნა“-ო. „ამ გევარად ქართულ და სომხურ ცნო-
ბათა უნთავრესი განსხვავება ის არის, რომ ქ.
ტფილისი, „მოქცევა ქართლისაჲ“-თ ჯიბლუმ
აიღო. მოსე კალანკატუელისთვის მისმა შეიღმა,
შათმა; შემდეგ ქართული წყარო მოგვითხრობს,
რომ ტფილისი*) „მცირეთა დღეთა შემდგო-
მად“ აიღო, სომხური-კი ამტკიცებს ტფილისი
ორჯულ იყო ქარემოკული, ერთხელ ვერა და-
აკლეს რა, თუმცა ორი თვეს ებრძოდენ, მეორე-
დაც მხოლოდ ორი თვის მედგარი ბრძოლის შე-
მდგომ ძლიეს-ძლიეობით აიღესო. **ორსავე შემ-
თხვევაში მოსე კალანკატუელის ცნობები უნდა
იყოს სწორე“-ო.**

„რომ ტფილისი პირადად ჯიბლუს აღებულ
არ უნდა იყოს, ამას ბიზანტიელი ისტორიკოსი
თეოფანეს სიტყვებიც ადასტურებს, რომელიც
აგრეთვე ამოწმებს, რომ ტფილისის მახლობლად
მდგომი ჯიბლუ თითონ შინ დაბრუნდა, ხოლო
თავისი რჩეული ჯარი შეიღითურთ ჰერაკლე
კეისარს მოკავშირედ დაუტოვა“-ო.

ჯერ ერთი: აქ სრულიად განოსარიცხია თე-
ოფანე, იგი ერთ სიტყვასაც არ ხარჯავს ტფი-
ლისის აღებაზე და ამიტომ არც იმას გვატყო-
ბინებს, ჯიბლუ შინ როდის დაბრუნდა, თბილი-
სის აღების წინ თუ მის შემდეგომ.

მეორედ: თუ ჯიბლუ შინ დაბრუნდა, კეისარ-
ი სპარსეთს წავიდა და ქალაქი მარტო შათმა
აიღო, მაშინ სულ არა სჩანს, ის ორი დაჭერი-
ლი ციხის თავი კეისარს სად მიჰგვარეს, ანდა
შათა ტყვეები რომელი ქალაქის ზღუდებზე ჩა-
მოჰკიდეს? ეს ქალაქი არ შეიძლება იყოს ტფი-
ლისი, რადგან, ამ ჰიპოთეზის თანახმად, იქ აღ-
არც ჯიბლუა და აღარც ერეკლე. აი სადაა მთე-
ლი გაუგებრობა, რომელიც სათავეს ყველა სხვა
გაუგებრობისა, ქართველი ისტორიკოსის უგუ-
ლებელყოფასთან ქრთად. დავცერჩა ქართულ-
სომხური წყაროები. მათ შორის თითქოს ორი
დოდი განსხვავება ყოფილა: 1. ტფილისის აღე-
ბა ჯიბლუს თანადასწრებით (ქართული წყარო)
ან კუიმისოთ (სომხური წყარო). 2. ქალაქის და-
პყრობა „მცირეთა დღეთა შემდგომად“ ქართუ-
ლი მემკვიდრის თქმით, გინა—ოთხი თვის ბრ-
ძოლის შემდეგ, როგორც გვაჯერებს მოსე სო-
მეხი. 3. ორივე შემთხვევაში სწორე ყოფილს
მოსეს ცნობა.

*) ტფილისი-კი არა კალაჲ!



1. ტფილისის, უკეთ კალაას აღება ტფილისში რომ ჯიბილუსი თანადსაწრებით მოხდა, ამის ამტკიცებს არამტოუ ქართული მატთან, არამედ მოსე კლანკატუელიც. ამის საბუთთა თითონ მოსეს ისტორია, რომლის ნაწყვეტი ფრანგულად გამოსცა მ. ბროსემ მის კრებულში: **Additions et éclaircissements**. 3, გვ. 490-493. იქ ნათქვამია: „როდესაც თბილისელები ხაკანს და კეისარს დასცინოდნენ, მათ დიდ კვანზე მსახრულად ხაკანის სახე გამოხატეს და თვალ-წარბის მაგიერ ზედ ერთი თითქმის ჟინიანი, ბეწვის ოდენს ხაზი ვადალეს“ ე. ი. **ბრმად** დახატეს და ამას უჩვენებდნენ ხაზარებს: აი თქვენი ჯიბილუ! ხოლო როცა ხაზარებმა ქალაქი შეანგრავს და ორი მთავარი შეიპყრეს, მხარდაკრულნი **თვეიანთ მონარქს** მიჰყვარეს. მან თვალეზი დაათხრევინა მის სამაგიეროთ, რომ მათ ჯიბილუ ბრმად გამოხატეს. ამით ცხადდება, რომ ხაზარებმა ციხის-თავეზი მიჰგვარეს არა ირაკლი კეისარს, არამედ იქვე მყოფს **მათ მთავარს ჯიბილუს**, რომელმაც ისინი დასაჯა მისდამი შეურაცხყოფის მიყენებისათვის. ხოლო, რათა არავინ დაეჭვდეს იმაში, რომ თითონ მან, ჯიბილუმ, ხელთ იგდო ტფილისი, მოსე უმატებს ამ ამბის ბოლოს: ხაკანმა „რას მისი წადილი შეიარსულა, თავის ქვეყანას მიჰმართა, მაგრამ შეიღს მათის გულადი ჯარი დაუტოვა“-ო (გ. 493). აქეთვან გამოდის, რომ ტფილისი დასცა პირდად თვეითონ ხაკანმა, რასაკვირველია, მისი ჯარ-სარდლის ხელით.

2. მეორე საკითხის ირგვლივ იგივე ერთ-აზროვნება და თანხმობა სუფევს, იმის დამატებით, რომ ქართული მატთანე უფრო ზუსტად და ზედმიწევნით გადმოგვიცემს ქალაქის ვარშემო ატეხილი ომის ქემპარიტ მსუელელობას, ვიდრე მოსე სომეხი, რომლის აღწერილობა იმდენად პირწმინდა ისტორიის შთაბეჭდილებას არ ახდენს, რამდენადც ისტორიული რომანისას: ეს-კი მხოლოდ იმ პირობით, რომ ქართველმა მკვლევარმა გამოიყენოს **ყველა** ქართული ისტორიული ძეგლები და არა მხოლოდ ერთი. ისტორიული კვლევისათვის არას გზით და არავითარ პირობებში არ კმარა მარტო ქართლის მოქცევაზე დამყარება, სხვა საბუთების ვანზე მიტოვებით. ქართლის მოქცევა არის უაღრესად კომპლატური ხასიათის ნაწარმოები, ე. ი. **გამოკრებილი** სხვადასხვა წინამდებარე, მასშასადამე, **მასზე უფრო ძველი** ისტორიული თხზულებისაგან. გამოიკრებილი-კი, ერთობ მთავარი

აზრის გადმოცემას ეტანება და სულაც არ დაგვიდევს მთელი ისტორიული მოქმედების პირუკლოდ ვაშლას. ეს თვისება ისე ცხადლივ, ისე თვალსაჩინოდ არსად ემჩნევა ქართლის მოქცევას, როგორც პირდაპირ აქ ერეკლეს ლაშქრობის აღწერისას. იგი ერთბაშად, ყოველივე ლოგიური დაკავშირების და გასრულებილების ვარეზე, რომ იტყვიან **ex abrupto** შედის **in medias res** და ერთი რალაც „მაშინ“-ის შემწეობით ერეკლეს კალაას წინ აჯადოებს: „მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან...“. მას აზრათაც არ მოსდის აგვისხნას, თუ ბერძენთა მეფე იქ რად იყო, სით მოაწის, კალაას რა შიშნით ჩაუარა და ციხის-თავეზა ის რად შეურაცხყო. რაკი გამოკრებილი ყველაფერს არ გვეუბნება, ამიტომ ჩვენი ვალია მოვიშველიოთ ისეთი ისტორიკოსი, რომელიც იგივე ცნობებს მეტი სისრულით და თან მეტი თანამიმდევრობით გვიზიარებს. ეს ისტორიკოსი ვახლავთ მე-8 - 9-რე საუკუნის მწერალი **ჯუანშერი**.

ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრებით ჯუანშერი შემდეგ მოგვითხრობს ერეკლე კეისარის ომზე ქართლში: ერეკლე რომ საბერძენთში გაძლიერდა „მოიყვანა დასაყლებით თურქნი, შეიკრიბნა საბანი ურიცხენი და წარემართა საპარსეთად ძიებად ძელისა ცხოველისა“. ქართლს რომ მივიდა, სტეფანოზ მთავარმა საპარსთა განდგომას არ ინება, „განამსაგრნა ციხე-ქალაქნი და დადგა ტფილისს“.

მოვიდა ერეკლე მეფე და მოადგა ტფილისს. „ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მხედარი და შემმართებელი. დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკვე მას წყობასა შინ ჩამოადგეს სტეფანოზ და მოკლეს; და დაიპყრა კეისარმან ტფილისი. ხოლო ციხესა კალასასა დაჩინეს კაცნი და არა მოერთნეს მეფესა. ციხით გამოდმართი ციხის-თავეზან აგინა მეფესა და რქუა: ვაცის წუერნი ვახსენ ვაცბოტოსა კისერი გათქს“-ო (გვ. 145 - 146)... სტეფანოზის სიკვდილის შემდეგ მეფემ ქართლი და თბილისი მისცა ბაკურის ძეს ადაჩნასეს და „დაუტყევა მისთანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბლა და უბრძანა **ბრძოლა კალისა** და თვით წარემართა მეფე. შემდგომად მცირედთა დღეთა წარიღეს კალაა და შეიპყრეს ციხისთავი იგი“... და სხვა (გვ. 146).

ქართულსა და სომხურ წყაროთა შორის მრავალ სხვაობას ენახულობთ: მსხვილსა და წვრილს. წვრილად განსხვავებას აქ იმდენად ხელს

არა ჩაგვიდებთ, რაკი არც იგი. ჯავახიშვილი დე-
ბულონის მის სათვალავში; ვიტყვი თხოლოდ,
რომ ბერძნულ წყაროებთან დაკავშირებით, ამ
მხრითაც ქართულს უფრო მეტი სიმართლე მი-
უძღვის, ვიდრე სომხულს, რის ცნობით **ორი**
მთავარი გაჰყვდეს ხაზარებმა და არა ერთი, რო-
გორც გვარწმუნება ქართველი შემეცნავე და
ციხისთავის ეგზომ უწყალო: ტანჯვას სარჩულ-
ად ედო არა ხაკანის, არამედ კეისარის ფამასხა-
რავება.

დიდ სწავლასთან შორის თვალსაჩინოა შემდე-
გი: მოსეს მტკიცებით მოკავშირენი ორ გზის
ეომენ ტფილისს და ბრძოლამ ორჯერევე **ორ**
თვეს გასტანა. ეს **ორჯერიორი** მე ცოტა არ იყ-
ოს, საეტვოდ მიგვიჩვენებს, მით უფრო, რომ ბიზან-
ტიის ისტორიკოსები ტფილისის დაქვევას ან-
გარიშსაც არ უწყვენ, ალბად იმიტომ, რომ ეს
ბრძოლა, მთელი ლაშქრობის საზომით, რაღაც
უმნიშვნელო, ხანმოკლე, მარტო ერთი „ჩაგ-
ლის“ ეპიზოდს წარმოადგენდა და სხვა არს-
ფერს, რაც უკლებლივ უდგება და ამართლებს
ქართველთა გადმოცემას.

მეორე განსხვავება უფრო დიდ - მნიშვნელო-
ვანია და მთელი სამხედრო მოქმედების არსმც-
თუ გამაშუქებელი, არამედ ამხსნელი და დამა-
ჯერებელიც. მოსე გვარწმუნებს: ოთხი თვის
ომი მიმართული იყო თავად ტფილისის ქალაქის
წინააღმდეგ და როცა მოკავშირეთ გაიმარჯვეს,
სულ რაც ქალაქში მიტოვრები იყო, დაუნდობ-
ლად მოსრესო. ქართლის მოქცევის შემწყობი,
პირიქით, **ტფილისსა და კალას ერთმანეთისაგან**
არჩევს და აღნუსხავს **მარტოდენ კალას აღე-**
ბას ხაზართა მიერ, ე. ი. ბრძოლის უკანასკნელ
ეპიზოდს (კალათი ტფილისისათა) *).

ამ მხრივ უფრო ნათელია ჯუანშერი. იგი
ცხადად გვაცნობს: პირველად ბრძოლა სწარ-
მოიხდა ტფილისის გაჩენი „კართა - ქალაქისა-
თა“ და ოდეს ერთი - ერთ წყობაში მოკავშირეთ
ქართველ - სპარსელები დაამარცხეს და ტფილი-
სი მიიტაცეს, ამისდა მიუხედავად „ციხესა კა-
ლასასა დაჩინეს კაცი და არა მოერთნეს მე-
ფესა“. ამის შემდეგ იყო, რომ კეისარმა ციხის

დაბრძოლება, რაც ქალაქის დამონების მეორე
დიდ სიძნელედ აღარ ითქმობა, ვიბლუს მიან-
დო, ხოლო თვით სპარსეთისაკენ ამხედრდა. ცი-
ხე-კი მართლს ისე მალე (შემდგომად მცირედ-
თა დღეთა) შელევს, რომ ციხის თავის ტყავი
კეისარს გარდახანს მისწიეს.

უეჭველია ჯუანშერი ბრწყინვალედ იცავს
ბრძოლის მთლიანობას და ქრთობილობას. ის
კარგად იცნობს ქალაქის ადგილ - მდებარეობას
და კალას მნიშვნელობას შემეცნად საუკუნეში,
რაც ისტორიულ სინამდვილეს უეჭველად შე-
ეგუება.

ხოლო, რაც შეეხება ბრძოლის ხანგრძლივო-
ბას ტფილისის წინ, მოსესთან ერთად ჯუანშე-
რაც სრულსა დამჯერებლობით ასმკარავებს,
რომ კეისარმა ქალაქის აღებას კარგი ხანი შეა-
ლია, ვინაიდან სტეფანოზ მთავარსხვა იქვე ნა-
თქვამი: იგი გულადი მხედარი იყო, „**დღეთა**
ყოველთა გამოვიდას კართა ქალაქისათა და
ებრძოლის ბერძენთა“ - ო. საბოლოოდ მაინც ის
ჩამოაგდეს და მოაკლეს. სტეფანოზის სიკვდილს
მოჰყვა ქალაქის დაჭერა და დახვება, უბატრო-
ნოდ დაჩინილი ქართლისათვის ახალი მთავრის
მოძებნა და დადგენა. ყველა ეს-კი, იჭვი არი უნ-
და, დიდ დროს, ალბად ორ თვეს მაინც მოით-
ხოვდა.

ჯუანშერი აღნიშნავს ასევე, თუ სტეფანოზი
რას მიხეხით დაეხზო ასე უწყალოდ, იგი სწერს:
„ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უმომი, არა
მსახური ღმერთსა“ (145). „და ესევეთარითა სი-
კვდილთა წარევენეს სტეფანოზ და მსახური
მოსნი. ამისთვის უყო ესე ღმერთმან მთავარსა
ნეს სტეფანოზს, რამეთუ არა მადლობითა ღმრ-
თისათა ცხოვნიდებოდა: მორწმუნეთა ემტერე-
ბოდა და ურწმუნეთა (სპარსთა) მოყურობდა“
(გვ. 146). სწანს, რენევატი ყოფილა. ალბად
ამიტომ იყო, რომ ქრცელეს მოსეღისას „ამან
სტეფანოზ განდგომა არა ინება სპარსთა“ (გვ.
145).

მთელი ნათქვამი რომ მოენახტოთ, უნდა აღ-
ვიაროთ: მოსე და ჯუანშერი არსებითად იგივე
ცნობებს გვაწვდიან და ჯუანშერი უფრო მეტი
ადგილობრივი ფერის დაკვით, ვიდრე სომეხი
მწერალი: ამად სხვისას ნუ ვეძებთ, რაც შინ
მოგვენახება!

მ. თარხნიშვილი

რომი.

*) ქართველმა მკითხველმა კარგად უწყის, რომ კალაა ერთერთი გამაგრებული უბანი იყო თბილისისა, სადაც იდგა მეციხოვნე ჯარი. „კა-
ლა“, რისგანაც მოდის „ქალაქი“, არსამაულია და აღნიშნავს ციხე - სიმაგრეს.

ლიბანუი აღმოჩენილი ჰართული ხელნაწერის შესახებ

ჩემ მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი მსახურის მონასტერში, რომელიც ქალაქ საიდას (სიღონ) აღმოსავლეთით მთებში მდებარეობს, ერთი კვირით მათხოვეს და მთლად გადმოვიწერე. მრავალ ხელნაწერთა შორის, ამ ქართული ხელნაწერის № 1272-ია. ფრიად საყურადღებოდ მიმაჩნია იგი მათთვის, ვინც დაინტერესებულნი არიან ძველი ლიტურგიული ქართული თარგმანებით. ეს ხელნაწერი უთაროლოა და არც არის აღნიშნული სახელი მისი გადამწერისა. არც სწავს ვინ და სად ხმარობდა მას წირვის სათქმელად. როდის და ვისგან შეიძინა იგი ხსენებულ მონასტერში? არა რა უწყის ხელნაწერთა გამგემაც.

ხელნაწერის სიძველის გამოსაკვლევად დამჭირნე გავხდი და ვინახულე აქაური ეროვნული მუზეუმის გამგე. შევეადარეთ არაბულ ძველ ნაწერებს, რომლებიც დათარგმნებულნი არიან დამწერლებისაგან თავიანთი სახელი - გვარით. ამ მრავალ საბუთების მიხედვით ერთად დავასკვენით, რომ ქართული ხელნაწერის ქალაქი მეოთხმეტე (1450 - 1500) საუკუნის ხანისაა, რადგან მსგავსი ქალაქი, ფილიგრანისი და თარხილისი მუზეუმში მოიპოვება. მაშ, ეს დოკუმენტი ვადაწერილია ხსენებულ წლებში რიცხვებში და არ არის პირველყოფილი დედანი.

რაც შეეხება თარგმანის ხანას, ღრმად დავრწმუნდი, რომ უსათუოდ 660 წელზედ უფრო აღრიონდელია, ვიდრე ამ ქვეყნების დამპყრობელი არაბების ენა თვით საეკლესიო ლოცვების ხმარებაში შევიდოდა ბერძნული ენის მაგიერ. ეს ცხადად მტკიცდება, რადგან რაც მღვდელმა და დიაკონმა წირვის დროს მაღალი ხმით ან გალობით უნდა სათქვან მრევლის საყურადღებოდ და თვით რაც მრევლსაც უნდა სათქვან, ბერძნულისა და არა არაბული, როგორც დღეს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი ის არის, რომ რაც ბერძნულია, ქართული ანბანით დაწერილია, როგორც დანახრენი ლოცვები და წეს-რიგის აღნუსხვანი ქართულ ენაზედ. ხოლო, ბერძნული ზოგიერთი სიტყვების გამოთქმა ისე არ არის, როგორც დღეს ეკითხულობთ ბერძნულსა. მაგალითად სხვათა შორის: კე (ხანაც ქე, ხანაც გე, თინ, ტინ, თო, ტო, აყიო (აგიოს მაგიერ), დაწერილი არიან. ასეთი გამოთქმების მიხედვით უნდა ვიგულისხმეთ ორში ერთი: 1. ბერძნული გამოთქმა ისეთი არ იყო იმ დროს, როდესაც ამ

ხელნაწერების პირველი დედანი ქართულია ასოებით დაიწერა, ესე იგი მეოთხე საუკუნემდე. შესაძლებელია, რომ ანტიოქიდან სინაისს მთამდე, სადაც ბერძნული ენა დამყარებული იყო ბიზანტიურ ლიტურგიის ხმარებაში, და სადაც ქართული მრავალ მონასტერებში ქართველი ბერები იყვნენ, ბერძნული გამოთქმა ისეთი არ იყო, როგორც ვიცით შემვიდეთ საუკუნიდან მანც მოყოლებული დღემდე მთელ საბერძნეთში და თვით ბიზანტიის იმპერიის ცენტრში. თუ ეს არ გამართლდა და ქე, გე, თინ, თო და აყიო, კეთ, ტინ-ათ და აგიოთ იკითხებოდა თვით მეექვსე საუკუნეზე უწინ, მაშინ: 2. უნდა ვიგულისხმეთ, რომ აღმოჩენილ ხელნაწერის გადამწერმა არ იცოდა ბერძნული და ბერძნული სიტყვების ფონეტიკური წაკითხვა, რათა სწორად დაეწერა ქართული ან-ბანით იმ შემთხვევაში, თუ პირველ ყოფილი დედანი ბერძნული ანბანით იყო დაწერილი და არა ქართულით. თუ ქართული ან-ბანით იყო დაწერილი თვით ბერძნული, და გადამწერმა არ დაუშვა შეცდომები, მაშინ უნდა ვიგულისხმეთ, რომ პირველ ხელნაწერის, ქართულ-ბერძნულის დამწერმა არ იცოდა ბერძნული, ან ბერძნული სიტყვების ფონეტიკური სწორი გამოთქმა.

აქ შედგება საუბარი ამ საკითხზედ საჭიროდ არ მიმაჩნია. სხვა საბუთებიც არის ამ ხელნაწერებში, რომელნიც ცხად ჰყოფენ მისი თარგმანის ხანას, ესე იგი მენტეთი-მეტქესე საუკუნეს, ოდეს შვირე აზიაში მყოფი ქართველი ბერ-მონაზონები თავიანთ ეროვნულ ენაზედ ასრულებდენ ლიტურგიულ ლოცვებს, მეექვსე საუკუნის გაცილებით ადრე, როგორც ალფონს რაეს დასძენს თავის „ლიტურგიულ ენებზე“, ტ. VII, გვ. 211: „მე-6-ე საუკ. ქართველი ბერები საკუთარ ენაზე ღვთის დიდებას ვალობდენ და ლიტურგიაში (წირვაზე) საღმთო წერილს კითხულობდენ“-ო.

ასეთივე დასკვნა უნდა მივიღოთ კ. კეკელიძის აზროვნების წინააღმდეგ, რომელმაც წმ. იაკობის წირვის თარგმანი (თბილისში არსებული ხელნაწერი) მეცხრე-მესამე საუკუნეში გადმოიტანა. იგივე წირვის ხელნაწერი, ვატიკანში აღმოჩენილი, რომელიც კლუგენის უნივერსიტის ლე. მუზეონის მიერ გამოიქცა, უფრო ბევრ საბუთებს შეიცავს იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ნათარგმნი არა ბერძნულიდან, არამედ სი-



ჩრდილიდან, არა უგვიანეს 555 წელსა, ოდეს სირიიდან 13 ქართველი ბერ-მონაზონი საქართველოში დაბრუნდნენ ეკლალე პატრიარქის დროს. ამ საკითხს სხვა დროს შევეხებით დაწვრილებით.

წმ. მაცხოვრის მონასტრის ხელნაწერი, რომელიც, როგორც ზემოთ ვსთქვით, მეთოთხმეტე საუკუნეში არის გადაწერილი, შეიცავს შემდეგს:

1. „შვიდგულისა“, ესე იგი, კვირის თვითყულ დღეს სახარებების საკითხავებს წიკვის დროს.
2. მოსდევს შვიდი „ლოცვანი სათქმელნი მწუხრთა ზედა“.
3. მოსდევს მოკლე წინადადეგები, ესე იგი, მოკლე ტექსტები, ამოღებული დაბადებიდან: დედ-მამის პატივისცემა, უმწიკვლოდ თაყვის შენახვით, შეშვადე დღეს დასვენება, და ამავე დღეს უცომო პურის ჭამა. ოჩი პირველი ნაწილი ცხრს გვერდზე დაწერილია და მესამე, მეთათეზედ. გვერდები კი არ არიან რიცხვით აღნიშნულნი. მოსდევს ორი დაუწერიელი გვერდი.
4. შემდეგ ა გვერდზედ იწყება „ლიტურია“ და წითელი მქლით „სამლო წიკვა წმინდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა“. ა გვერდიდან კვ გვერდამდე, ყველგან სათაური მარცხენა გვერდზედ „იოვანე ოქროპირისა“ სწერია და მარჯვენაზედ „ლიტურია“. მე — კვ და კვ გვერდებზედ ანტიფონებია ბერძნულათ მხოლოდ. მე — კთ გვერდზედ იწყება „სამოციქლონი შვიდგულისა“, მთლად ქართულად. ლგ გვერდამდე და შემდეგ მოსდევს მთლად ქართულად პატარა - პატარა ლოცვები და საკითხავები. მე

—მა გვერდზედ იწყება „განგება ახლისა მცირისა აიაზმისა“: ლოცვები, საკითხავები საღმთო წიკვილიდან და კვლავ ლოცვები, ქართულ ენაზედ ვიდრე მგ გვერდამდე, რომელზედაც არა რა სწერია.

5. ორმოცდა მეშვიდე (მშ) გვერდზედ იწყება „სამლო წიკვა წმინდისა მამისა ჩვენისა დიდისა ვასილისა“ და თავდება ოდ გვერდზედ.

6. „სამლო წიკვა სიწმინდისა განახლებისა წმინდისა მამისა ჩვენისა დიდისა გრიგორისა“ თორმეტ გვერდზედ ოე გვერდიდან პვ - მდე.

7. შემდეგ ორ გვერდზედ მოსდევს მთლად ბერძნული ენით, ქართული ან-ბანით დაწერილი, როგორც ყველგან „ლოცვა ერის განტყვებისა ვაჩეგან საკურთხეველისა“.

8. ბოლოს ჩაკურთხულისა ფრიადი ცუდი თვისების ფურცელი, რომლის ორივე გვერდზედ დაწერილია წერილი ასოებით, შეთხუპნულათ, ცუდი - კალიგრაფიულად და ქართულად, მოგროძო სამადლობელი ლოცვა, რომელს მოსდევს „ვასილი დიდისა“ და შემდეგ ვრცელი „მეტაფრასიისაებრ (გვ-3) და სხუა ლოცვა (დ-4).

ასრედ თავდება აღმოჩენილი ქართულ - ბერძნულ ლიტურგიული ხელნაწერი, რომლის დაბეჭდვა სასურველად და სასარგებლოდ მიმანია. რაც შეეხება შინაარსის განხილვას და შეფასებას, ეს მაშინ შეიძლება, თუ კი ვინმე იკისრებს ხელნაწერის გამოქვეყნებას. ჯერ - ჯერობით ვკმაყოფილებით ამით, რაც აქ ვრცლად აღვნიშნე.

შალვა ვარდიც

კ ვ რ ა უ ა ლ ა ვ ა

ბრუსელში 21 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე, „ლა ლიკონ“ -ის დაარბაზში ვაიმართა ქ-ნ ვერა ფალავას მხატვრობის გამოფენა. ბევრმა სხვა და სხვა ჟურნალის ხელოვნების შემფასებელმა გამოთქვა თაყვისი აზრი ჩვენი თანამემამულეს შესახებ. სახელდობრ: „Dernière Heure“ (25.11); „La Lanterne“ (27); „Le Soir“ (28); „Les Beaux-Arts“ (4.12) და სხვა.

პირველი აღნიშნავს ქ-ნ ვერას მხატვრობის მრავალფეროვნებას, პოეზიას მის ნაშრომში და განყენებულ მიდგომას. ხაზს უსვამს მის პიროვნულ ხასიათს.

„L“ ამბობს, რომ ვ. ფალავა ხელოვანია ვა-

საკვირველი ნიჭიერებით, მისი სურათები მარტივია არიან. გვეგონებათ, განგებ არის ასე გაკეთებული, რომ დაგვაპროსთ თვისი უბრალოებითო.

„S.“ გამოთქვამს თვის აზრს, რომ ვ. ფ-ს მთლიანობას აქვს უსათუოდ ხასიათი, რომელსაც ვადაყავს მნახველი ფაქიზ შეთანხმებათა მსოფლიონი. განსაკუთრებით აქებს მის საუცხოო წონასწორობას.

ჟურნალ „Les Beaux-Arts“-ში ბ-ნი სოსე სწერია, (შევეცადით ეს მაინც მოვიყვანოთ საგნებით):

„ვერა ფალავა, ხელოვანი, წარმოშვებით ქარ-



თველი, მთავრად პარიზში დაფუძნებული უკვე მრავალ წლებს განმავლობაში. ქვეყნის ვერა ფალავასი ქმნილია თავმჯდომარეობით, მოდერნიზაციით და დახვეწით. მისი ხელოვნება ვითარდება სულიერ-მარტოობაში, მოუქნელი ხაზების სხეულებების საშუალებით. განისაზღვრება სიწმინდეში და მიმდინარეობს იმავი დარღვევით მთელი მის სურათებში. ნიშანი შემოქმედებისა სადაა, სინათლურ ხაზებისა, სიფაქიზე ფერებისა, მათი აძლევს შეუგუებელ შეხედულებას, ერთ და იმავი დროს ადამიანურს და განყენებულს, ძლიერსა და ფაქიზს, რასაც ის იღვანებს მართლაც სხვა დარღვევით, ვინემ დღევანდელი მხატვრების უმრავლესობა“.

ამ ხელოვნების გამოცდილ შემფასებლებში, მხოლოდ უკანასკნელმა შეამჩნია, რომ — ვერა ფალავა — არის ქართველი ქალი. და ჩვენც სწორედ ამ მხრივ უფრო გვინტერესებს იგი.

მართლაც თუ მხატვრობა ერთგვარი აზრების მეტყველებაა ფერებში და ხაზებში, ხელოვნის პიროვნებას და მისი სულიერი ცხოვრების წყაროს, ღრმა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის შემოქმედებაში.

ის 15-ოდე სურათი და ამაზე ცოტა ნაკლები ფანქრით ნახატი, რომლებიც ამ ჟამად აქ არიან გამოფენილი, რასაკვირველია არ ამოუწრავს ქან ვერას მხატვრულ შენოქმედებას, მაგრამ იგი საკმარისია, რომ ამხილოს და გადმოგვცეს ნიშანდობრივი თვისებები მისი ნაწარმოებებისა.

საუცხოვო ფერთა თამაში ერთი მხრივ და საგნების სწორხაზობრივი გამოსახვით გადმოცემა მეორე მხრივ, არის მთავარი დამახასიათებელი თვისება მისი მოკაზმულობითი მხატვრობისა. თვითეული სურათი იძლევა გარკვეულ აზრს, საამურად მოქმედობენ მხატვრულ და დამამშვიდებელ მთავრულილებას ახდენენ.

ქანი ვერა, ეტყობა, განსაკუთრებული ყურადღებით ექვეყნა ფერებს და მართლაც აქ ჩანს მისი ძლიერი ვემოცი, ცოდნაც და გამოცდილებაც.

ქან ვერას ნახატების მეორე ჯგუფში, რომლებიც ფანქრით არიან შესრულებულნი, ვხედავთ სხვა გვარ შრომებს, რომელთაც შეიძლება უწოდოთ — სინამდვილის მხატვრობა. ხეებისა და მატების უბრალო მონაზვით გადმოცემა, აძლევს მათ ჩვეულებრივ და მეტად მიმზიდველ ხასიათს.

ლიკონის დარბაზში გამოფენილ სურათებ-

ში 4 ეკუთვნის სუფრას. მორთული ფერ - მალა-ლი ჭიჭებით, მიღ ფერადი - ფერადი ღვინოებით, ხილით და სხვა.

სუფრა ხშირად შეადგენდა ქართველი მხატვრების საგანს.

ერთ ნაგვიანზე „ტარანი“ უცნაურად მოგვაგონებს ნიკო ფიროსმანიშვილს. მაგრამ თუ ძველი ფიროსმანის სუფრები საესეა უამრავი საჭმელებით, ტიკებით ღვინო, ხორცეულით, კომლის გარშემო მყარი ყარაჩოღელები სხედან საესენი მიწიერებით, და თუ ლაღო გუდიანშვილის ნაგვიანზე უკვე სიუხვე საზრდოსი კლებულობს, მაგრამ — „ვენეზი“ მატულობენ, ქან ვერას ტახლა სულ სხვა ხასიათისა.

იქ უკვე აღარაინ ხის აფერადებული მცირე საზღო ფაქიზად არის გალაგებული და თვის უბრალებობაში მას ეძლევა სრული და ხატობრივი ხასიათი. ამ ოთხ სურათში ერთი წითელი ფერით არის გარემოცული, მაგრამ საჭმელი ივითქვას, როგორც დანარჩენებში, უმთავრესად ხილი და ღვინო, ფერადებში კონტად გაწყობილი.

ქან ვერას ნახატებში ვხედავთ კიდევ ერთ ხერხს. ის თავის სურათებს სიბრტყეში იწყებს და შემდეგ ხედ გამოსახავს საგნებს. გორები და მთები თუ არიან, ისინი უკან გამოკვეთით ჩამწყვილებულნი მოსჩანან. არის ეს ნებისა თუ უნებლიეთ, მეგრულ მინდორ-ველთა წარმოდგენების ანარქული? ყოველ შემთხვევაში ასეთი გადმოცემა აძლიერებს მასატიურ განცდას.

ამ ნახატებში ცოტას ვხედავთ ადამიანებს. შეიძლება ეს შემთხვევითი მოვლენა იყოს. გამონაკლისს შეადგენს, მხალითადა, ერთი დიდი ჩარჩო, რომელსაც „თეთრი ბრძოლა“ ეწოდება და შეიძლება ეს სურათი იყოს ყველაზედ მნიშვნელოვანი. ორი ჯგუფი მოწინააღმდეგეთა ერთმანეთს შეჭიდებულთა ტალღობრივ მოძრაობაში ისე, რომ იგი წარმოდგენს უფრო ერთ, მთლიანს, ვინემ საწინააღმდეგო ძალთა შეჯახებას. ფერები და უკან მდებარე გორები განსაკუთრებით ამეტყველებენ მოქმედებას.

იგივე საგანზეა უფრო პატარა სურათი: „შეხვედრა“. ორი ცუნდი ახოვან მეტრიძოლთა; და პირისპირება შუბებითა და ფარებით.

„ჯერო არი ჩხუბობენ“ იყო შემჩნევა ქალბატონ ვერასი.

ირ. მ - რი

ბრუსელი .

Djobadze's Library

გაზეთ „საქართველოს დამოუკიდებლობა“-ს

გაზეთ „საქართველოს დამოუკიდებლობა“-ში, № 8, მოთავსებულია წერილი: „ჟურნალ - გაზეთებიდან“, რომელიც ეხება პროფ. მ. მუსხელიშვილის ანალიზს ე. წ. „საკოორდინაციო ცენტრის“ სტატუსისა, გამოქვეყნებულს ჩვენს ჟურნალის წინა ნომერში. რედაქციას სწორად ვერ გაუგია პროფ. მუსხელიშვილის აზრი, გამოთქმული ნათლად და გარკვეულად. ჩვენ ვწერდით: „ამ სტატუსზე ხელის მოწერა ქართველების მიერ ნიშნავს მიტოვებას სუვერენულ სახელმწიფოს სტატუსისა, რომელიც საქართველომ მოიპოვა 1918 - 21 წ.წ. საერთაშორისო კრებულში“... თაქსთაგადი ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ „საკოორ. ცენტრში“ მონაწილე ქართველებს და გულისხმობს იმას, რომ მათ შიატოვეს სუვერენულ სახელმწიფოს სტატუსი ზემოხსენებულ დოკუმენტზე ხელის მოწერით, რაიცა სრულებით არი ნიშნავს „1918 წლის 26 მაისის აქტის იურიდიული ძალის გაბათილებას“, როგორც ეს „საქ. დამ.“-ს ჰგონია. ეტყობა, წერილის ავტორი სრულებით ვერ ერკვევა იურიდიულ საკითხებში.

რაც შეეხება ჩემს „დაბრუნებას“ ძველ პოზიციებზედ, რომელსაც „კმაყოფილებით“ აღნიშნავს „საქ. დამ.-ბა“, მრავალ აბრუნდის შემდეგ რუსებისადმი ეროვნულ საბჭოსთან ერთად, მას შემდეგს მოვასხენებ: რუსეთთან დამოუკიდებლობის საკითხში შესხედულება იმ პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელსაც მე 1924 წლითგან ვეკუთვნი, საყოველთაოდ ცნობილია და ის დღემდე უცვლელი (და გამართლებულიც) დარჩა. ამ შეხედულებას ვიცავდი ორგანიზაციის დავალებით ქ. ერ. საბჭოს აღმ. კომიტეტში, რაც აგრეთვე ცნობილია პრესაში გამოქვეყნებული მრავალი განცხადებების საშუალებით, და გამოვედი იქითგან, როგორც კი საბჭომ რუსებთან თანამშრომლობა დაიწყო. ამნაირად, ძველ პოზიციებზედ დაბრუნებაზედ ლაპარაკი ზედმეტია, რათგან ეს პოზიციები არასოდეს არ მიმიტოვებია.

ბოლოს „საქ. დამ.-ბა“ სწერს: „ვისაც მეტი კომპეტენცია აქვს (იურისტებზეა საუბარი, კ. ს.) მეტი სიფრთხილედ მოეთხოვება იურიდიულ განმთქმებში“-ო. ამაში სავსებით ვეთანხმები. ზემოხსენებულ გაზეთის რედაქტორს, ხოლო ჩვენი მხრით დავძენთ: მიხეილ მუსხელიშვილი სახელგანთქმული პროფესორია საერთაშორისო

საწართლისა და მას „იურიდიულ გამოთქმებში“ სიფრთხილედ არი აკლია, ხოლო არა ნაკლები სიფრთხილედ მოეთხოვება პოლიტიკური მოღვაწესაც პოლიტიკური წერილების წერის დროს, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს წერილები ეხებებიან საკუთარი ქვეყნისა და მის მმართველთა დამოკიდებულებას მწვობელ თუ სხვა ერებთან.

იმედს გამოვთქვამთ, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ რედაქცია მომავალში მეტს სიფრთხილედ გამოიჩინოს და არი დაუშვებს ისეთ მძინე შეცდომებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ გაზეთის უკანასკნელ №-ში, „რაც“ წერილში, საქ. სოც.-დემ. პარტიის სომხებთან დამოკიდებულების შესახებ.

კ. სალია

პროფ. მიხეილ მუსხელიშვილი შეერთებულ შტატებში

ჩვენი თანამშრომელი, პროფ. მიხ. მუსხელიშვილი მიწვეული იყო The American Friends Service Committee-ს მიერ შეერთებულ შტატებში ლექციების წასაკითხავად.

პროფესორმა წაიკითხა მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქებში; უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრებში, რელიგიურ საზოგადოებებში და სხ. მოხსენების საგანი იყო: კონფლიქტი აღმოსავლეთ - დასავლეთ შორის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა, ევროპის სახელმწიფოთა ფედერაცია და სხ. მ. მუსხელიშვილის ლექციებს ყველგან დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. გაშინქტონში ერთ მის მოხსენებაზე მოვიდენ მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობის კულტურული სექციათა ხელმძღვანელები. ამერიკიდან გვატყობინებენ, რომ ჩვენ თანამემამულეს ყველგან დიდი ინტერესით და ყურადღებით უსმენდენ. იქიდან დაბრუნებისთანავე, პროფესორი მუსხელიშვილი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და ლუბლას უნივერსიტეტების მიწვევით, სადაც წაიკითხა მოხსენება ევროპის ცივილიზაციის კრიზისზე და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობაზედ.

„ბედი ქართლისა“ მომხალე ნომერში მოთავსებული იქნება მისი წერილი ამერიკაში და სკანდინავიაში მის მიერ წაკითხული ლექციების შესახებ.

Dr. DAVID LANG

კულტურული მუშაობა

დრა. დავით ლანგის მოღვაწეობის შესახებ მოკლედ გვქონდა ლაპარაკი წინა ნომერში. აქ ვაქცევებთ სიას მის შიერ გამოცემულ შრომებისა საქართველოს შესახებ.

1) Georgian relations with France during the reign of Wakhtang VI (1711-24), dans *Journal of the Royal Asiatic Society*, à Londres, Octobre, 1950.

2) Count Todtleben's Expedition to Georgia, 1769-1771, according to a French eyewitness, dans *Bulletin of the School of Oriental Studies, University of London*, 1951, tom. XIII.

3) Georgia and the Fall of the Safavi Dynasty, dans *Bulletin of the School of Oriental Studies*, 1952, tom. XIV.

4) Peter the Iberian and his Biographers, dans *Journal of Ecclesiastical History*, Londres, 1951, tom. II, N° 2.

5) Prince Ioann of Georgia and his «Kalmasoba», dans *the American Slavic and East European Review*, Décembre, 1952.

6) *L'Encyclopédie en Russie et au Caucase*, Conférence prononcée au Collège de France, Paris, en 1951, et imprimée dans les *Cahiers de l'Association Internationale des Etudes Françaises*, N° 2.

7) *Soviét Georgia: Land of Contrast.* — *The Listener*, vol. LI, N° 1301.

მოსხენებები დრ. ლანგისა:

საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები, წაკითხული ლონდონში, ქართველთა სათვისტომოში.

«Georgia and the Classical World» (c.-.-d.: «La Géorgie et le Monde Classique»), devant la *Royal Asiatic Society* de Londres.

გიორგი მალალაშვილის წიგნაკები

გამოვიდა ცალკე წიგნაკებად, ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებზედ, „კავკაზში“ მოთავსებული უაღრესად შინაარსიანი წერილები ექ. გ. მალალაშვილისა: „სომხეთ-საქართველოს დამოკიდებულებათა ისტორიისათვის“, და „ჯგ-აროსანთა დროის კავკასიის ისტორიისათვის“.

ჩვენი დიდი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის შთაგონებით, მისმა შეგობარმა მუსიკოლოგმა კარლმანმა (გერმანია) განიძრახა შედგენა და გამოცემა მეცნიერულად დასაბუთებული მონოგრაფიისა ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. ამისათვის მას ესაჭიროება მასალა: ნწერლობითი, ნოტები, ფირფიტები და სხვა. გრიგოლ რობაქიძის რჩევით იგი უკვე დაუკავშირდა პარიზში ჩვენი სათვისტომოს ზოგიერთ კომპეტენტურ პირებს. მეტად საინტერესოა და ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი ბ. კარლმანის განზრახვა, რათა გან, არამც თუ ეცხო ენაზედ, არამედ ქართულადაც ცოტა მოგვეპოვება ასეთი მეცნიერული ნაშრომი (გარდა ივ. ჯავახიშვილისა და დ. არაყიშვილისა).

ყოველი ქართველის მოვალეობაა დახმარება გაუწიოს გერმანელ მეცნიერს საჭირო მასალების მიწოდებით.

ჩვენ სათვისტომოში კარგად ცნობილმა პუნ-კრელმა კომპოზიტორმა პოლ-არმან ვასული წლის 24 დეკემბერს, პარიზის რადიოს საშუალებით მოაწყო გადაცემა ყველა ერების „ალილოსი“, მარსელ გუროს გამოჩენილი ანსამბლის დახმარებით. ქართული „ალილო“, რომელიც დამუშავებულია მის მიერ, საუცხოვოდ იქმნა შესრულებული. თავის მშვენიერ შესავალ სიტყვაში, პოლ-არმან აღიარა, რომ „ყველა „ალილოთა“ შორის ქართულს უკავია პირველი ადგილი“-ო.

26 მაისს იმავე რადიოს საშუალებით, მანვე გააკეთა გადაცემა ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. 15 წუთის განმავლობაში მან ილაპარაკა ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის საოცარი სიმდიდრეზედ და ღირებულებაზედ. აღნიშნა, თუ რა პერსპექტივები იხადება მომავალში მუსიკისათვის ამ უძვირფასესი მასალის შესწავლით და დამუშავებით.

აგრეთვე დიდი მოამაგე ქართული ხელოვნებისა, შეიძლება ითქვას, ქართველი კომპოზიტორი, არის ალექსანდრე ჩერენინი, რომელიც აღზრდილია საქართველოში და მთელი მისი მუსიკალური ნაშრომნი აგებულია ძველი ქართული მუსიკის კანონების მიხედვით, რასაც ის მუდამ ხახს უსყვამს თავის მოხსენებებში. ამჟამად მ. ჩერენინი მოღვაწეობს ჩრდილოეთ ამე-

ჩიკაგოში. იგი პროფესორისა ჩიკაგოს უნივერსიტეტისა და კონსერვატორიისა და როგორც კომპოზიტორისა და პიანისტის დიდმა ადგილი უჭირავს ამერიკაში.

მისი — Suite Georgienne-ს დიდი ქებით შესხვედენ ბოსტონში, რომელიც შესრულებულ იქმნა სახელგანთქმულ მარლ მიუნშის ხელმძღვანელობით, და რომელიც 19 მარტს, ჩიკაგოში, დიდ სიმფონიურ კონცერტზე იქნება აგრეთვე შესრულებული. ბ. ჩერკინინი იტყობინება შემდეგს: „ამ უკანასკნელ ხანებში გამოვიდა პიანინოსათვის ერთ რვეულში ხუთი პიესა. მათ შორის „ვარიაციები შენ ხარ ვენახისა“, რომელშიც გამოიწვია დიდი ინტერესი. გამომცემელმა მთხოვა ეს პიესა ცალკე გამოეცქეთ და წინა გვერდზედ მოვათავსოთ ქართული ღვთისმშობლის სურათი“-ო.

„ბოსტონში, განსაკვირვებლად კომპოზიტორი, შ. მიუნშმა მთხოვა „ქართული სიმფონიის დაწერა და მეც სისამოვნებით შეუღდექი ამ საქმეს“-ო.

ა/წ. 23 იანვარს, იმავე პოლ - არმას ხელმძღვანელობითადაცემულ იქმნა ქართული სიმღერები პარიზის რადიო სადგურშიდან. ვადაცემის წინ პოლ - არმას გააკეთა მოკლე ისტორიული მიმოხილვა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა სიმღერები ქართული ფოლკლორისა. ქართული პოლიფონია ერთად ერთია თავისი სიმღერებით და სისრულით მთელ მსოფლიოში, სთქვა მან.

გუნდში მონაწილეობდენ: ბ.ბ. ბაღური, გენლა-შვილი, ვ. ველიძე, ს. იანეთელი, ს. მამულაშვილი, ვ. ხომერიკი და ი. ჯაბადარი.

ბ. პოლ-არმას განზრახული აქვს თავის მოგზაურობის დროს ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში, მოაწყოს ქართული სიმღერების ვადაცემა. ამავე დროს ის აპირებს კრებულის შედგენას, რომელშიც შეტანილი და გარჩეული იქნება ქართული სიმღერები.

ქართული ცეკვა ბრუნალში

ბ. ი. ჯაბადარის ხელმძღვანელობით პარიზის თვან გამოვიდა ქართველ მოცეკვავეთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბელგიელ მფრინავთა საქველმოქმედო საზოგადოების დიდ სალამოზე ბრუნელში. გუნდი გამოვიდა აგრეთვე ბელგიურ ელ. წარმოდგენაში (ტელევიზიონ) შეიდი სხვა და სხვა ცეკვით.

სალამო მოწყობილი იყო ხელოვნების სასახლეში, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. თორმეტ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მიერ საუცხოოდ შესრულებული ცეკვები ჩაითვლება სრულ მიღწევად, რამაც სახსრებით სამართლიანად მოხიბლა საზოგადოება.

მუსიკას განსაკუთრებით ხელს უწყობდა დოლის თბილი ბეჭრა და ცემა. თითოეულ ცეკვას წინ მიუძღოდა მოკლე განმარტება ბ. ჯაბადარისა, რომელიც თითქოს ჩოხაში გამოწყობილი, მიმზიდველ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს გამოსვლა იყო შესანიშნავი ჩვენება ქართული ცეკვის ხელოვნებისა.

ცეკვის მართველი იყო ბ. ს. იანეთელი, მუსიკის ლოტბარი — შოთა ჯაბადარი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული ჟურნალის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბრიუსელის ქართველებს „ქართული ბალეტის“ გულკეთილი მიღებისათვის. პატივისცემით ილია ჯაბადარი

სამგლოვნიარო

„ბედი ქართლისა“ მწუხარებით აღუწყებს თანამემამულეთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პარიზში გარდაიცვალა მარიამ აბაშიძე.

„ბედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხადებს ბ. გ. ბერიძეს მისი მეუღლის გარდაცვალების გამო.

რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს კონსტანტინე (კოტე) ჯაყელის გარდაცვალების გამო. მაღლოვის გამოცხადება

უღრმეს მადლობას ვუცხადებ თანამემამულეთ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემ მწუხარებაში, და დაუფასებელი თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემი საყვარელი მეუღლის კოტეს გარდაცვალების გამო.

ნიკო ჯაყელი

ქართულ ეკლესიაში

ამა წლის 4 აპრილს, პარიზის ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქმნა სათვესტომოს თავმჯდომარის ბ. შალვა აბღეშელის თაოსნობით, პანაშვიდი ერთგულ ორბელიანის სკოლის მოსახსენებლად.



ექვსი წლის წინათ, 1948 წლ. მარტში ეინახულოც ის თანამემამულენი, იცისც იმედი მქონდა, კეთილი საქმისათვის დახმარებას არ დაიშურებდნენ. მაშინ, ემიგრაციაში არც ერთი ქართველი ჟურნალი არ გამოდიოდა. ვისაც კი მივმართე, ყველანი თბილი გულით შეხვდნენ არა პოლიტიკურ, ისტორიულ - ლიტერატურულ ჟურნალის დაარსების იანზრახვას. განვივიდა პირველი ნომერი. საზოგადოებამ მოიწონა და თანაგრძნობით მიიღო იგი. თანდათან გამოიჩინა, რომ ასეთი ხასიათის ჟურნალის საჭიროება გაცილებით მეტი იყო, ვინემ თავიდან გვექონდა წარმოდგენილი. დედა- მიწის ყველა კუთხიდან, სადაც კი ქართული ენის ცხოვრობენ, მადლობა და განხილვა მოგვივიდა. არ დარჩენილა არც ერთი ქვეყნის უნივერსიტეტი თუ დიდი გამომცემლობა, რომელსაც — ბედი ქართლისა“ არ გამოეწეროს.

ხედმეტია აღნიშვნა იმისა, თუ რა მძიმე მატერიალურ პირობებში გამოდის ჩვენი ჟურნალი. მას არ მიუღია და არც ღებულობს დახმარებას არც ერთი უცხო ორგანიზაციისაგან. მხოლოდ ჩვენი და ჩვენისთანა ემიგრანტების შემწეობით ცოცხლობს იგი. მაგრამ, სამწუხაროდ,

ან ექვსი წლის განმავლობაში იმდენი მსხვერპლი გავიღეთ, რომ დღეს ნეტად გვიძიმს მისი გამოცემა. მთელი ქართველობის მიერ უღოდ აღიარებულია „ბედი ქართლისა“ არსებობის საჭიროება, რომელიც უანგაროდ ენსახურება ქართულ კულტურას, ქართულ საქმეს უცხოეთში, შლის რა თავის ფურცლებზედ უღოდ ქართველთა ბრწყინვალე ნიჭის და კალმის ნაქმს და ნაყოფს. ამიტომ მივმართავთ ქართულ საზოგადოებას დახმარებისათვის. „ბედი ქართლისა“ უჭირს! თანამემამულენი ვერ დასტოვებენ უპასუხოდ მის თხოვნას!

ჩვენი ჟურნალის ექვსი წლის თავზე, გვიდა უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა მათ, ეიც მისი დახმარების პირველი დღიდან ხელს გვიწოდებენ, თვით იკლებენ და გვეხმარებიან.

არ შეგვიძლია დიდი მადლობით არ მოვიხსენიოთ ქართული სტამბის უფროსი ბ. დავით ხელაძეც, რომელიც მუდამ დიდი ყურადღებით ეპყრობა ჩვენ ჟურნალს და უმძიმეს პირობებშიც მისი გამოცემის შესაძლებლობა გვაძლევს.

ნინო სალია

კრეზულის ფონდი, № 16 - 17

შემოსწირეს: ბ. ბ. კ. — 11.000 ფრ., ვ. ახმეტელი — 3.500 ფრ., შ. ცინცაძე — 3.500 ფრ., ნ. ჟღერტაძე — 3.000 ფრ., მ. მ. თარხნიშვილი — 2.600 ფრ., პ. როფ. შ. ბერიძე — 2.500 ფრ., ვ. ვახანიძე — 2.000 ფრ., ა. ჯინჭარაძე — 2.000 ფრ., ან. ბალახაშვილი — 2.000 ფრ., 10 წლის თამარ ბალახაშვილი — 500 ფრ., ი. კვანტა — 2.000 ფრ., ქ. გუგუშვილი — 1.750 ფრ., ა. შავგულიძე — 1.000 ფრ., მ. ჩუბინიძე — 1.000 ფრ., შ. გორგაძე — 1.000 ფრ., ს. სარჯველიძე — 500 ფრ. და ნ. თარხნიშვილი — 500 ფრ.

სულ — 41.350 ფრ.

გამომცემლობა უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

ა. ბ. ნ.

ა. ბ. ნ. -ის (ანტიბოლშევიკური ბლოკი ნაციათა) ყრილობაზედ, მიუნხენში, არჩეულ იქმნა ორგანიზაციის გენ. მდიანად ბ. ნიკო ნაკაშიძე.

ექ. კ. ხოლოვას მოხსენება

ა. წ. 11 აპრილს, პარიზში, ექ. კობახიძე

ხოლოვამ წაითხა მოხსენება: „დამიანის ადგილი ბუნებაში — სიბერე და გაახალგაზრდაება“.

ლტოლვილის სიმღერა

გამოვიდა გიორგი ტოგონიძის ლექსათა კრებული: ლტოლვილის სიმღერა, წიგნი მეორე, პარიზი, 1953 წ.

The Voice of Free Georgia

განვივიდა „ქართულ-ამერიკული ლიგის“ ორგანო „თავისუფალი საქართველოს ხმა“, №№ 4,5, ინგლისურ ენაზე.

ჟურნალის ხელმძღვანელი არიან: ჩვენი თანამშრომელი მ. კვიციანი და ა. ცომაია.

Our Path

რედაქციამ მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭოს“ ქართულ-ინგლისური ჟურნალი: „ჩვენი გზა“, № 3.

ჟურნალი გამოდის, „ბედი ქართლისა“ თანამშრომლის ექ. გ. კობახიძის რედაქტორობით.



პასუხი: „თორღვაი!“ „ცაყვარ მიწას!“ მინდია დაეშვება. მოუტყენეს იჩო ხრამალა, ესასა, უნდა განკვეთოს, და, ხრამალს განხე ავადებს. „ჩა მოხდა?“ ეს უსიტყვო კითხვა თანამყოფთა, იტყვის აცხვცახებულო, სიტყვა მინდიასადმია მიმართული: „ჩიოს ხრამალი უნდა დამტყენა შენდა განსაკვეთად, შენს სახეზე ერთი კუთიაც არ შეტრხეტულა! ფაქვაც ყოფილხარი! წამოდგე! შევილის ნაცვლად გთვლიდე ამიქო.“ (შენიშნვა. ეს შეთხზული არასა. ასეთი ჩამ მომხდარყო ჩრდილო კავკასიაში. მიამბო 1918 წელს ცვილისში აწ განსვენებულმა მხატვარმა ხალილქანე მუსკაიასულმა.) „იჩო რაინდის!“ გაისმის შეფრქვევით. მინდია წამოდგება, განკვივრებული და თანაც ანათლებული. ჰიდდირ, მთხუცი: „იჩო, შევილო, გხედავ მეორედ შეებულს.“ კანკალობს. გაპყავთ. იჩოც მიდის: ამ წუთს უნდა მარტო დარჩეს. ეტყვის იქ მდგომთ: „გასართეთ-“ ქისტები გარს ეხვევიან მინდიას. ღანიშ, ლამარას პატარა ძმა, სულ ლამარასზე ევითხება, არი ეშვება.

უეცრად ერთი ქიტი შემოვარდება ზახილით: „ხენესურნი თაქა გვესმინან, თორღვაი მოუძღვით!“ გაშტერება ნეესლავი. მინდია ახლა მათ თვალში თვალისამქვევის. შეტყრანენ თოკით. იჩო მოაშურებს ხრამალზე. „რა ამბავია?“ ამცენევენ. თავზარდაცემულია. „მართალია?“ მინდიას. მინდია: „არ ვარ თორღვაი: ევაგარ თორღვაი. მოველ, სისხლს აიღებდი, შურისგება გათავდებოდა. ლამარას ჩემს ცულშიაცა. ავადა, მოჩრებოდა.“ ცაოცებული იჩო ძლივსა-ლა სუნთქეს, ახლა კიდევ უფრო აფრთოვანებული. „განათვისუფლეთ!“ მინდია გრძობს სიმძაფრით აქტს თავშეწირვისა. ძალა მისწერი, წართმეული, უბრუნდება: შემღერის ყვავილებს.

ნოსაქედებან ხენესურნი. „სიკვდილი იჩოს!“ იჩო დვას, უძრავი, უიარაღო. ვაიგებენ რა მოხდა. ახლა ესენიც ქვადდებიან. პაუზა. აფრენენ ზვიადას ლამარასთან. ამავე დროს შემობრბის ლავაზ. „ლამარა მოსხლტა ლოკინს, ცხენს მოაქანებს!“ პაუზა. ზვიადას შემოჰყავს ლამარა. იჩო გულში იხუტებს, ღანიშ მუხლებზე ეხვევა. ლამარა მოიხმობს რაიბულს მამასთან. ნიშანს აძლევს მათ: ხელი ხელს გაუწოდონ. სრულდება. შემდეგ ნიშნობს თორღვაისა და მინდიას. ნიშანი იმგვარივე. ესენიც ხელს ართმევენ ერთიმეორეს. აღარაა განხეთქილება რა ტომთა შორის. შუღლიც ძმათა შორის გამქრალია. ლამარა, უნებური კვანძი შეხლისა, თვითონვე ხსნის ამ კვანძს. გახსნას თან ეადაჰყვება: ვითარ

მსხვერპლი. ტრავედიის მისტერიაში იხსნება. ლამარა სულს განუტყევებს. სულათი: ერთი მხრით იჩო და რაიბულ, ხელიხელ გადაჭლობილი — მეორე მხრით მინდია და თორღვაი, ესენიც გადაჭლობილი ხელიხელ. მკლავებზე: დასვენებული საუკუნოდ განსვენებული. მიჰყავთ, მალლა ახილელი. ვალობენ ძველთა-ძველ ჰიმნს ქართველთა. ჰიმნში კიაფობს სახელი: ლამარას, ლამარა.

თეატრი, მისტერიას ზიარებული, ცრემლია ახლა, ხოლო ცრემლი შევების ნაკადი. თვალთვალს ეხსნება და ყოველ თვალში ერთი თვალი ცილა: ეს ლანდია ლამარასი, ღვთიურ ცოცხალი. რა ემართება თეატრს ფარდის დაშვებისას, არი ავიწერო. არცაა საჭირო.

ორიოდე სიტყვა ირგვილი შემსრულებელთა. ლამარა: თამარ ჰავკავადე, დიად შესაფერი, ოღნაე ტანსრული, ვიდრე ლამარა წარმოსახული. სიტყვა, გამთქმა მიმოხრვა, იჩო — ნამდვილი ქალის ქისტისა. თამარს აქ ხელსუწყობდა მისი წარმოშობა კახეთითვან. მინდია: გიორგი დავითაშვილი. არც ერთს როლში არ გვინახავს იგი ეგზომ დასრულებული. თორღვაი: უზანგ ჩხეიძე. მოვტრათ ერთი სიტყვი: მენმოხვედრილო, ხოლო მენს კვადარჩენილი და ამით: მენი თვითონ. მუჩთაზ: აკაკი ვასაძე. რასსიულ დახვეწილი ჩერქეზი. მსახველი გმირისა ისეთი წნევით, რომ სახვა ბიოლოგიურ სხმად იკვეთებოდა. იჩო: აკაკი ხორავა. მოვტრათ ესეც ერთი სიტყვი: ნამდვილი შამილი. დავთმატო: შეუდასრებული ხმა, ბანი ბარბიტონალური ტემბრით. რაიბულ: შალვა ლამბაშიძე, განსვენებული ეახტანგის ძმისწული, როგორც ყოველი ნაშვირი ლამბაშიძეთა: ახოვანი და ბრეე და როგორც ასეთი: მოხდენილი რაიბულ. ქვითარ: ადამიძე. დიად შესაფერი თამადა ღრეობის გაშლაში. ვაჟა: პლატონ კარბიშვილი. გრიშით: ნამდვილი ვაჟა. მისი როლი: მხოლოდ „ის“ გადმოძახება და მისი წარმოთქმა. პირველი: მარჯვე, მეორე: ცულს-ხვედრი. ჰიდდირ, იჩოს მამა: დათიკო ჩხეიძე. მოყვარული სცენის და მსახიობად ვერქეული, მოულოდნელად და სასიხარულოდ ამ ნათელი მოხუცის კარვად მსახივრებული. მუსიკა: ახალკაზრდა კომპონისტის თურქიასი, დრამის შინაგან დენას მშენებრად შეხმატკბილებული. სცენის მოართულობა: ლადო გუდაშვილის. ეს ფრიად თავისებური ხელი-